პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

პარასკევი, 16 აგვისტო, 1946 წ. № 164 (7687). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

საბჭოთა ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოები — მოწინავე (1-ლი გვერდი).

იტალია და მშვიდობის დამყარება — ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა პარიზის კონფერენციაზე 13 აგვისტოს (1-ლი და მე-2 გვერდი).

პარიზის საზავო კონფერენციაზე (მე-2 და მე-4 გვერდი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია: — კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების გამო (მე-3 გვერდი).

უცხოეთის დეპეშები (მე-4 გვერდი).

საბჭოთა ხელოვნების შესანიშნავი ნაწარმოები

აღმაფრთოვანებელი, გმირული ფილმი მიიღო საბჭოთა მაყურებელმა; ფილმი, რომელიც უბრალოდ და სადად, მაგრამ ჭეშმარიტი ხელოვნებით განასახიერებს ჩვენი ხალხის ისტორიის დაუვიწყარ ფურცლებს. მაყურებლის თვალწინ წარმოსდგებიან ისტორიული ამბები ტრაგიკული მომენტიდან, როცა გარდაიცვალა კაცობრიობის უდიდესი გენია ვლადიმერ ლენინი, იმ მომენტამდე, როცა დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა უმაგალითო გამარჯვებით დაამგვირგვინა სამამულო ომი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ.

საბჭოთა კინოხელოვნების ოსტატებმა შექმნეს ამაღელვებელი, მართალი, წარმტაცი ფილმი—ბრწყინვალე პოემა დიდი სტალინის შესახებ. „ფიცი" ნამდვილად წარმოადგენს საბჭოთა კინოხელოვნების მიღწევას, მის მშვენებას, მის სიამაყეს!

ხელოვნების ყველა მუშაკი აღფრთოვანებულია კეთილშობილური მისწრაფებით—საუკეთესოდ აღბეჭდოს და გამოხატოს დიდი სტალინის შთამაგონებელი სახე. ჩვენმა ხელოვნებამ თავისი მიღწევებით არაერთხელ აღაფრთოვანა საბჭოთა მოქალაქე, მაგრამ ისეთი წარმატება, ისეთი გამარჯვება, როგორიც „ფიცმა" მოიპოვა, მას ჯერ კიდევ არ ახსოვს.

ეს გამარჯვება დიდი შემოქმედებითი ოსტატობის, ხანგრძლივი, სერიოზული მუშაობის შედეგია, რაც სცენარის ავტორმა პ. პავლენკომ, რეჟისორმა მ. ჭიაურელმა, მსახიობმა მ. გელოვანმა გასწიეს.

უყურებთ ფილმის პირველსავე სცენებს და გაოცებული რჩებით მოფიქრების ორიგინალობით, თემის მასშტაბით, მხატვრული შესრულების ოსტატობით. ძნელია, წარმოუდგენლად ძნელია ერთმა ფილმმა ასახოს ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში—ლენინის გარდაცვალების შემდეგ, ლენინის გზით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით განვლილი გზა 1945 წლამდე.

მაგრამ „ფიცში" სიუჟეტის განვითარების ორიგინალობა და ისტორიული სიმართლე გასაოცარი ბუნებრიობით გვხიბლავს.

დასაწყისში მაყურებელი ხედავს მძიმე დროს—კულაკური რეაქცია ებრძვის ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს. ძველი ცარიცინელი მუშა ბოლშევიკი პეტროვი, რომელიც კულაკური გამოხდომის მსხვერპლი ხდება, სიკვდილის წინ ლენინს უგზავნის წერილს არსებული მძიმე მდგომარეობის შესახებ. პეტროვის ცოლს ვარვარას ეს წერილი მიაქვს ლენინთან კრემლში. მაგრამ ლენინი იქ არ არის. ვარვარა მიდის გორკაში. ჩვენ ვხედავთ 1924 წლის სუსხიანი ზამთრის სურათს, გორკაში სახლს, სადაც დიდი ლენინი გარდაიცვალა. ეზოში ზღვა ხალხია. აქ არიან უკრაინელი ბაკლანი, ქართველი გიორგი, უზბეკი ტურგუნბაევი, საბჭოთა კავშირის ხალხთა წარმომადგენლები, რომლებიც მოდიოდნენ ლენინთან რჩევისა და დახმარებისათვის. მაგრამ ლენინის სახლს გორკაში ტრაური ფარავს. ის, ვისკენაც ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოისწრაფვოდნენ მილიონობით ადამიანები, გარდაიცვალა. ლენინის სახლიდან გამოდიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. მათ სახეზე სჩანს უდიდესი მწუხარება და მაყურებელი სწრაფად აძლევს კითხვას თავის თავს—სად არის სტალინი?

სურათი გრძელდება. პარტიისა და ხალხის შენიღბული მტრები კორესპონდენტებს ნეკროლოგებს აძლევენ ლენინის შესახებ.

უცებ ჩნდება დათოვლილი ტყე. გამოჩნდება სტალინი. დინჯად მოდის ლენინის სახლისაკენ. სტალინის სახეზე ენით გამოუთქმელი მწუხარებაა აღბეჭდილი. სტალინი მიუახლოვდება სკამს, რომელზედაც არაერთხელ მჯდარა ლენინთან ერთად... წარსული დღეების მოგონება, და სტალინის თვალზე მაყურებელი ხედავს ცრემლს. შემდეგ კრემლის კიბეზე კორესპონდენტთან შეხვედრა. სტალინს სთხოვენ ნეკროლოგს ლენინის შესახებ. სტალინის პასუხი ასეთია:—ნეკროლოგი არ იქნება. ისეთი ადამიანები, როგორიც ლენინია, არა კვდებიან. ლენინი ცოცხალია და მარად იცოცხლებს ჩვენს შორის.

ფილმში ყოველივე ეს უდიდესი მხატვრული ოსტატობით და დიდი დამაჯერებლობით არის განსახიერებული.

ასევე ბრწყინვალე შემოქმედებითი მიღწევას წარმოადგენს ლენინის კუბოსთან დიდი სტალინის მიერ წარმოთქმული ფიცის ჩვენება. სტალინის ისტორიული ფიცის სიტყვებს მთელი ხალხი იმეორებს. ეს ნამდვილად სახალხო ფიცია, ხალხის გულისთქმის საყოველთაო გამოხატვა, გრანდიოზული სურათი. ამ ისტორიულ დღეს ვარვარა პეტროვას მოაქვს გარდაცვლილი ქმრის წერილი ლენინის სახელზე და გადასცემს ამხანაგ სტალინს. ეს სცენა მრავალმეტყველია. მასში სიმბოლურად გამოხატულია ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ამხანაგ სტალინისადმი მთელი საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ნდობა. მსახიობმა გიაცინტოვამ ვარვარას როლი ბრწყინვალედ განასახიერა. მან გვიჩვენა ისეთივე მტკიცე ნებისყოფის რევოლუციონერი დედა, როგორიც ოთხი ათეული წლის წინათ, პირველი რევოლუციის დღეებში, გორკიმ დაგვიხატა ნილოვნას სახით.

დიდი სტალინის ფიცი საბჭოთა ხალხმა მიიღო, როგორც მომავალი მუშაობის დიადი პროგრამა.

ფილმი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. საუცხოოდ არის ნაჩვენები პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლა. აი პირველი მშენებლობანი. ამხანაგი სტალინი ცარიცინის ისტორიული ბრძოლის ადგილებში თვითონვე გეგმავს მომავალი სატრაქტორო ქარხნის ტერიტორიას. შემდეგ ვხედავთ კრემლს და ჩვენს პირველ ტრაქტორს. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგ სტალინის მეთაურობით ათვალიერებენ მას. ეს სცენა მაყურებელს უდიდეს პატრიოტულ სიამაყეს აგრძნობინებს: რით დაიწყო ჩვენი გიგანტური ინდუსტრიალიზაცია და შემდეგ რა სასწაულები უჩვენა კაცობრიობას.

„ფიცში" წარმოსახულია სტალინური ხუთწლედების განხორციელება. აი, სახალხო მეურნეობის ფრონტზე მოპოვებულ გამარჯვებათა აღსანიშნავად კრემლში საზეიმო მიღებაა. ეს სცენა ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია ფილმში. მაყურებელი ხედავს პარტიისა და ხალხის მტკიცე ერთიანობას, იგი დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალს დიდი სტალინისა და ვარვარა პეტროვას დიალოგს—იქნება თუ არა ომი?

და აი მართლაც დაიწყო დიდი სამამულო ომი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, რომელიც ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. ვარვარა ომში ჰკარგავს შვილს. მან რევოლუციის საქმეს შესწირა ქმარი და შვილი. ლენინისა და სტალინის საქმის უსაზღვროდ ერთგული ბოლშევიკი ქალი თავისი გმირული საქციელით შთააგონებს მაყურებელს საბჭოთა სამშობლოსადმი სამსახურის უწმინდეს მოვალეობას.

სამამულო ომი დამთავრდა. მოპოვებულია უდიდესი, მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება. მაყურებელი ხედავს გამარჯვების აღსანიშნავად კრემლში საზეიმო მიღებას, ჩვენს გენერალიტეტს დიდი სტალინის მეთაურობით. ახლობელი, მშობლიური, საყვარელი სახეებია! დიდი სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა ბრწყინვალედ შეასრულა ლენინის კუბოსთან დადებული ფიცი—ყველა მძიმე ქარიშხალში მან სახელოვნად გამოატარა ჩვენი ძლევამოსილი დროშა!

„ფიცი" საბჭოთა ხელოვნების უდიდეს მიღწევას წარმოადგენს. მთავარი ამ ფილმში დიდი სტალინის სახის ჩვენებაა. დღემდე ხელოვნების ნაწარმოებში მაყურებელს ისე უშუალოდ არ უნახავს ბელადის სახე, როგორც „ფიცში". როცა ამ ფილმს უყურებთ, თქვენ ხედავთ დიდ სტალინს, როგორც იგი წარმოდგენილი ჰყავს თავის ცნობიერებაში თვითეულ საბჭოთა ადამიანს.

საბჭოთა მოქალაქეს „ფიცი" განაცდევინებს კანონიერ სიამაყეს ჩვენი დიდებული სამშობლოთი, უძლიერებს მისდამი სიყვარულს, პატრიოტულ გრძნობას. ჭეშმარიტად, ეს ფილმი საუკეთესოდ გამოხატავს საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლას, მის ფიქრებსა და მისწრაფებებს; ამიტომ ვუწოდებთ მას მართალ, გმირულ ფილმს, აღმაფრთოვანებელ პოემას —დიდ **სტალინზე!**

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ალექსანდრე ნიკიტას-ძე აბრამოვი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან დესპანად ფინეთში.

ამხ. პაველ დიმიტრის-ძე ორლოვი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო განთავისუფლებულია ფინეთში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის მოვალეობისაგან.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ა.-წ. 14 აგვისტოს ბრძანებულებით ქალაქ წულუკიძის საქალაქო საბჭოს ტერიტორიას გამოეყო სოფელი ახალშენი, წულუკიძის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, წულუკიძის აგურ-კრამიტის ქარხანა, კალინინის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიის ნაწილი მოსახლეობით (ცხაკაიას ქუჩის აღმოსავლეთით), სტურუას სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიის ნაწილი მოსახლეობით (ჯულაშვილის ქუჩის აღმოსავლეთით) კიროვის ქუჩის გადაკვეთის პუნქტამდე, აქედან სწორი ხაზის გაყოლებით ცხაკაიას და ვოროშილოვის ქუჩების შეერთების პუნქტამდე და მათგან შეიქმნა ახალშენის სასოფლო საბჭო.

წულუკიძის რაიონის გორდის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ღვედი და მისგან შეიქმნა ღვედის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ღვედში.

იტალია და მშვიდობის დამყარება

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა პარიზის კონფერენციაზე 13 აგვისტოს

ჩვენ მოვისმინეთ ბ-ნ დე გასპერის სიტყვა იტალიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტზე. თუ ეს სიტყვა სწორად გამოხატავს ახალი იტალიის პოლიტიკას, იგი ყურადღების ღირსია იმითაც, რაც მასშია ნათქვამი, და იმითაც, რაც ამ სიტყვაში ნათქვამი არ არის. ყოველ შემთხვევაში, არ შეიძლება უპასუხოდ დარჩეს ეს სიტყვა, რომელიც მიმართულია საზავო ხელშეკრულების პროექტის წინააღმდეგ და რომელსაც შეუძლია ბევრი გაუგებრობა გამოიწვიოს.

I

ჩვენი ურთიერთობა იტალიასთან

საბჭოთა კავშირის შეხედულებანი იტალიაზე შეიძლება ძალიან მოკლედ ჩამოყალიბდეს. იმედი მაქვს, რომ ეს შეხედულებანი დაემთხვევიან აქ დამსწრე ბევრი დელეგატის შეხედულებებს.

იტალიის ისტორიული დამსახურებანი ყველასათვის ცნობილია. როგორც შორეული წარსულის ისტორიაში, ისე ახალ ისტორიაში, იტალიას თვალსაჩინო ადგილი ეკავა. მისი კულტურა — ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და იტალიელი ხალხის დიდი შემოქმედებითი ნიჭი მუდამ სარგებლობდნენ საყოველთაო აღიარებით. ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, გვწამს იტალიის, როგორც დიდი ქვეყნის, მომავალი. ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ დიდი იტალიელი ხალხი თავს დააღწევს ახლანდელ სიძნელეებს და სათანადოდ გამოვა თავისი ეროვნული აღმავლობისა და აღორძინების ფართო გზაზე, როგორც დიდ და თავისუფალ იტალიას შეეფერება.

აქ, საზავო კონფერენციაზე, ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, გვაინტერესებს იტალიის მდგომარეობა ევროპის სხვა ხალხთა შორის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ რამდენად შესძლებს იტალია არსებითი ფაქტორის როლი შეასრულოს სხვა ხალხებთან მეგობრობის დამყარებისა და ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. ცნობილია, რომ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ იტალია სხვა გზით წავიდა. მუსოლინის იტალიამ გამოაცხადა იმპერიალისტური ექსპანსიის პროგრამა და გატაცებული იყო სხვათა ტერიტორიების დაპყრობით, თავის მადას იკმაყოფილებდა პატარა ხალხების — ალბანეთის, ეთიოპიის ხარჯზე. ფაშისტური იტალია გახდა ჰიტლერული ღერძის დასაყრდენი ევროპაში, ხოლო შემდეგ გერმანიასა და იაპონიასთან ერთად ანტიკომინტერნული პაქტის ყალბი დროშით გაჰყვა ავანტიურისტული გეგმების გზას გერმანიისა და იაპონიის იმპერიალისტებისას, რომლებიც მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფვოდნენ. ფაშისტურ იტალიას აკისრია მძიმე პასუხისმგებლობა დამპყრობლური ომისათვის ჰიტლერულ გერმანიასთან კავშირით, პასუხისმგებლობა მტაცებლური აგრესიისათვის ალბანეთისა და ეთიოპიის მიმართ, აგრეთვე იუგოსლავიასა და საბერძნეთზე სისხლისმღვრელი თავდასხმისათვის და საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირში სამარცხვინო შეჭრისათვის. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გერმანელები განადგურდნენ სტალინგრადთან და ინგლის-ამერიკის ჯარებმა წარმატებითი შეტევა დაიწყეს ჩრდილოეთ აფრიკასა და სამხრეთ იტალიაში, დაეცა ფაშისტური რეჟიმი, და იტალიამ იწყო გარდაქმნა დემოკრატიულ საფუძვლებზე. ამ დროიდან შეიქნა შესაძლებელი, რომ იტალია, აგრესიის კერის ნაცვლად, მყარი მშვიდობის მნიშვნელოვანი ფაქტორი გამხდარიყო ევროპაში.

გერმანიისა და მისი ფაშისტი მოკავშირეების განადგურების შედეგად ევროპამ ძლიერ იცვალა სახე. მოკავშირე სახელმწიფოებს ამჟამად აქვთ შესაძლებლობა დემოკრატიული გზით წარმართონ გერმანიის განვითარება და არ დაუშვან გერმანიის, როგორც ახალი აგრესიული ძალის აღორძინება. მით უმეტეს შეიძლება ამის თქმა იტალიაზე. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იტალიის რესპუბლიკა უნდა გახდეს სუსტი, ევროპის მეორეხარისხოვანი სახელმწიფო. ეს როდი ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ იტალიამ უნდა დაჰკარგოს საგრძნობი პოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელობა ხმელთაშუა ზღვაში. ახლა ცალკეული დიდი სახელმწიფოები ისწრაფვიან მონოპოლიური მდგომარეობა დაიკავონ ხმელთაშუა ზღვაში და მეორე პლანზე გადასწიონ არა მარტო იტალია, არამედ საფრანგეთიც — ხმელთაშუა ზღვის ეს უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოები. ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება შეეფერებოდეს ევროპის სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას და არ შეიძლება შეესაბამებოდეს მტკიცე მშვიდობის ინტერესებს ევროპაში. არა მარტო საფრანგეთს, არამედ იტალიასაც უნდა ჰქონდეს რწმენა თავისი მდგომარეობისა, როგორც ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოებს. ფაშისტურმა იტალიამ, რომელიც თავის კეთილდღეობას აგებდა ექსპანსიასა და პატარა სახელმწიფოების დაპყრობაზე, სახელი გაიტეხა ხალხთა თვალში და კრახი განიცადა. ახალმა იტალიამ, რამდენადაც იგი ესწრაფვის თავის ეროვნულ აღმავლობას თავის შინაგან ძალთა ყოველმხრივ განვითარების საფუძველზე, და მეგობრული ურთიერთობის დამყარებას თავის მეზობლებსა და ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან, აქტიური მხარდაჭერა უნდა ჰპოვოს ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს მხრივ. და განა შეიძლება ეჭვი ვიქონიოთ, რომ მაშინ იტალიის რესპუბლიკა განმტკიცდება, როგორც მშვიდობისა და პროგრესის მძლავრი ფაქტორი ევროპაში?

ახალი იტალიისათვის ადვილი როდია მტკიცედ დადგეს ფეხზე ფაშიზმის დამხობისთანავე. ამისათვის მან უნდა განახორციელოს ძირითადი გარდაქმნანი მთელ პოლიტიკურ ცხოვრებაში, რათა მოწინავე დემოკრატიული რესპუბლიკა გახდეს; მან უნდა გადალახოს ეკონომიურ დარგში არსებული საბოტაჟი, რასაც ეწევიან დემოკრატიული იტალიისადმი მტრულად განწყობილი ძალები; საჭიროა ახლებურად მოეწყოს აღმზრდელობითი მუშაობა ხალხის ფართო მასებში, სადაც რეაქციული ძალები ფაშიზმის ნაშთებთან კავშირით შეუპოვრად იცავენ თავიანთ პოზიციებს, ფერს იცვლიან და ეძებენ ახალ ვითარებას. იტალია ვერ გახდება დემოკრატიული რესპუბლიკა, თუ ბოლომდე არ ამოძირკა ფაშიზმისა და ფაშისტური იდეოლოგიის ნაშთები. ეს ამოცანა ჯერჯერობით სრულიადაც არ არის შესრულებული, თუ გავიხსენებთ, რომ ფაშიზმი ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში სწამლავდა იტალიელი ხალხის შეგნებას და ამისათვის გამოიყენა მატერიალური და სულიერი ზეგავლენის ყველა საშუალება.

II

დე გასპერის განცხადება და ძველი დამპყრობლური პრეტენზიები

ბ-ნ დე გასპერის სიტყვა არავითარ შემთხვევაში არ არის საკმაო პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც წარმოიშვებიან იტალიისათვის საზავო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ეს სიტყვა არის ცდა გვერდი აუაროს იტალიის, როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს, აღორძინების ძირითად საკითხებს და სრულიადაც არ გამოხატავს სურვილს გამიჯნოს და დაჰგმოს ფაშისტური იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკა.

იტალიის დელეგაციის მეთაურმა ვერ გამოძებნა სიტყვა ფაშიზმის დასაგმობად, რომელმაც იტალია უმძიმეს მდგომარეობაში ჩააყენა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იტალიამ უკვე მოუღო ბოლო ფაშიზმის ყველა ნაშთს და შეუძლია დაივიწყოს ფაშიზმის მიერ დატოვებული ანტიდემოკრატიული მემკვიდრეობა. მის გამოსვლაში აგრეთვე არ იყო არც ერთი სიტყვა მუსოლინის მთავრობის ავანტიურისტული საგარეო პოლიტიკის დასაგმობად, რომელმაც უდიდესი უბედურება მოუტანა მეზობლებსა და სხვა ხალხებს, რამაც უმძიმესი პასუხისმგებლობის ტვირთი დააკისრა იტალიას. აქ საჭირო არ არის შევჩერდე იტალიის დელეგაციის მეთაურის გამოსვლის დეტალებზე. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ იტალიის დელეგაციის მეთაურის სიტყვა მნიშვნელოვანწილად მიმართული იყო არა თავისი ხალხის ნამდვილი ეროვნული ინტერესებისა და საარსებო საჭიროებათა დაცვისაკენ, არამედ ძველი იტალიის დამპყრობლური პრეტენზიების დაცვისაკენ.

თქვენ გაიგონეთ, რომ ბ-ნმა დე გასპერიმ თავის სიტყვაში მთავარი ყურადღება მიაპყრო იტალიის პრეტენზიების დაცვას იულიის კრაინის დასავლეთ ნაწილსა და ქალაქ ტრიესტზე. ამ საკითხის გარშემო ვნებათაღელვის გამწვავებით მან დაგვანახვა, თუ რაოდენ დაშორებულია კიდევ იტალიის ახლანდელი ხელმძღვანელების საგარეო-პოლიტიკური მისწრაფებანი ნამდვილად დემოკრატიულ საგარეო პოლიტიკას. თუ ფაშისტური იტალია კბილებით ებღაუჭებოდა იულიის კრაინის მის მიერ დაპყრობილ სლავურ ტერიტორიას და ისწრაფვოდა თავისი ექსპანსია უფრო შორს, აღმოსავლეთში გავრცელებინა, იტალიის დელეგაციის მეთაურს ამ კონფერენციაზე არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ეს დამპყრობლური ტენდენციები სრულიადაც აღარ ეთანხმებიან ახლანდელი მომენტის რეალურ შესაძლებლობათ. ამით შეიძლება აიხსნას, რომ თავისი პრეტენზიები მან მიმართა არა მთელი იულიის კრაინისაკენ, არამედ მისი დასავლეთი ნაწილისაკენ, მათ შორის ისტრიის მთელ დასავლეთ სანაპიროსაკენ, სადაც იმყოფება ისტრიის ნახევარკუნძულის მთავარი ქალაქები და ნავსადგურები. იტალიის დელეგაციის მეთაური, რომელიც ახალი იტალიის სახელით გამოვიდა, კვლავ იცავდა ძველი, იმპერიალისტური იტალიის პრეტენზიებს და ამით დაამტკიცა, რომ იტალიის მთავრობისათვის საქმით ადვილი როდია ნამდვილად ახალი, ნამდვილად დემოკრატიული საგარეო პოლიტიკის გზაზე დადგომა.

ისტრიის ნახევარკუნძული და ქალაქი ტრიესტი თვით პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე არასოდეს არ ეკუთვნოდა იტალიას. ავსტრია-უნგრეთის იმპერიის კრახის შემდეგ ნადავლის გაყოფის წესით იტალიამ მიიღო ისტრიის ნახევარკუნძული, თუმცა ნახევარკუნძულის მოსახლეობა მეტწილად მუდამ სლოვენებისა და ხორვატებისაგან შესდგებოდა. ამით ჩადენილ იქნა მძიმე შეცდომა იუგოსლავიის მიმართ, რომელსაც ჩამოაშორეს ტერიტორიები ძველისძველი სლავური მოსახლეობით და სრულიად უსაფუძვლოდ გადასცეს იტალიას. თუ პირველ მსოფლიო ომამდე ისტრია და მისი სლოვენური და ხორვატული მოსახლეობა ავსტრია-უნგრეთის იმპერიის უღელქვეშ იმყოფებოდა, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ სლავური ისტრია ფაშისტური იტალიის უღელქვეშ მოექცა. ამასთან იტალიის ხელისუფალნი ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობდნენ გაემრავლებინათ ქალაქ ტრიესტის მოსახლეობის იტალიური ნაწილი, რათა გამოეყენებინათ ისტრიის მთავარი ქალაქი, ისე როგორც სხვა ქალაქები, მთელი ისტრიის ნახევარკუნძულსა და მის სლავურ მოსახლეობაზე ბატონობის დასამყარებლად. ამ პოლიტიკაში ისეთი არა იყო რა, რაც არსებითად განსხვავდებოდა გერმანიის პოლიტიკის „დრანგ ნახ ოსტენისაგან", სლავური ტერიტორიების დაპყრობის გერმანიის პოლიტიკისაგან. ისტორიიდან ცნობილია, თუ როგორ ისწრაფვოდა გერმანია გაფართოებულიყო აღმოსავლეთისაკენ, იპყრობდა სლავურ მიწებს და აგერმანელებდა სლავურ მოსახლეობას. სლავური მიწების დაპყრობის ასეთსავე პოლიტიკას ახორციელებდა ავსტრია-უნგრეთის იმპერია. ამ მხრივ არც ფაშისტურ იტალიას არ სურდა ჩამორჩენილიყო. ჩვენ ვიცით ამისი შედეგებიც. ფაშისტურმა იტალიამ დაიპყრო ისტრია და გერმანიასთან ერთად ეს ტერიტორია უკანასკნელი ომის დროს გამოიყენა იუგოსლავიაზე თავდასასხმელად. ასეთია ფაქტიური მდგომარეობა.

იტალიის დელეგაციის მეთაურმა უკეთესი ვერაფერი მოიგონა, გარდა იმისა, რომ გამოსულიყო აქ თავისი პრეტენზიებით თუ მთელ ისტრიაზე არა, ყოველ შემთხვევაში, მის მთავარ ნაწილზე—ისტრიის მთელ დასავლეთ სანაპიროზე. მის მიერ ეთნიკური მომენტისა და იმის დამოწმება, რომ ისტრიის ამა თუ იმ სანაპირო ქალაქებში იტალიური მოსახლეობა სჭარბობსო, რა თქმა უნდა, სრულიად არ იძლევა იმის საფუძველს, რომ იუგოსლავიას ჩამოეჭრას სლავური ისტრია და იგი იტალიას მიეცეს. იტალიის დელეგაციის მეთაურმა თავის გამოსვლაში ცენტრალურ საკითხად გახადა თავისი პრეტენზიები დასავლეთ ისტრიასა და ტრიესტზე. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ეს პრეტენზიები ახალი, დემოკრატიული იტალიის ხმაა. არა, სწორედ პირიქით. ეს მხოლოდ განმეორებაა იტალიის ძველი დამპყრობლური პრეტენზიებისა სხვათა მიწებზე, ძველისძველ სლავურ მიწებზე. ლაპარაკობდე წარსულზე და იცავდე იმპერიალისტურ ტრადიციებს—ეს არ ნიშნავს კვალდაკვალ მიჰყვებოდე ახალ დროებას. წავიდა ის დრო, როდესაც სლავური მიწები გაყოფის საგანს წარმოადგენდნენ ევროპის სახელმწიფოთა შორის, როდესაც სლავი ხალხები დასავლეთელი და აღმოსავლეთელი დამპყრობლების უღელქვეშ ჰგმინავდნენ. ახლა, როგორც ცნობილია, სლავმა ხალხებმა თავიანთი ადგილი ჰპოვეს მოკავშირე სახელმწიფოთა რიგებში და ყველა სლავურ ქვეყანაში სახელმწიფოებრივი ცხოვრება შენდება პროგრესულ დემოკრატიულ საფუძვლებზე. სხვა სლავურ და არასლავურ სახელმწიფოთა შორის იუგოსლავიის გმირი მებრძოლის სახელოვანი ადგილი უკავია ანტიჰიტლერული კოალიციის რიგებში, ამასთან ცნობილია, რომ სწორედ იუგოსლავიამ თავის მხრებზე გადაიტანა გერმანიისა და იტალიის ოკუპაციის განსაკუთრებული სიმძიმე და უდიდესი მსხვერპლი გაიღო ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ პირობებში არ შეიძლება ეჭვი ვიქონიოთ, რომ, რამდენადაც საფუძვლიანია იუგოსლავიის პრეტენზიები ისტრიასა და მის სლოვენურ და ხორვატულ მოსახლეობაზე, იმდენადვე უსაფუძვლოა პრეტენზიები ისტრიასა ან მის ნაწილზე იტალიის მხრივ. თუ ეს დღემდე ვერ გაუგია ზოგიერთ იტალიელ მოღვაწეს, მაშინ ეს მხოლოდ იმას მოწმობს, თუ რაოდენ ცხოველმუნარიანია ძველი, დამპყრობლური ტრადიციები იქ, სადაც ჩვენ გვსურს დავინახოთ იტალიის რესპუბლიკის ჭეშმარიტად ახალი, ჭეშმარიტად დემოკრატიული საგარეო პოლიტიკა. ცხადია აგრეთვე, რომ თუ კი ახალი იტალია ამ გზით, სლავური ან სხვა ხალხების მიწების ძალად შეერთების გზით წავიდა, არ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ იტალიასა და ყველა სხვა დემოკრატიულ ქვეყანას შორის მტკიცე მეგობრული ურთიერთობა დამყარდება, მაშინ როცა, როგორც თვით იტალია, ისე ევროპის ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო დაინტერესებულია, რომ იტალიის რესპუბლიკამ, ბოლოსდაბოლოს, მართლაც ბოლო მოუღოს ექსპანსიის თავის ძველ პოლიტიკას, და რომ იტალიამ ნორმალური მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს სხვა ქვეყნებთან, და, უწინარეს ყოვლისა, თავის მეზობლებთან. იტალია მხოლოდ მაშინ გახდება საქმით ევროპაში მშვიდობის განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორი, რაც ჩვენ ყველას გვსურს.

ჩვენ მივესალმებით ახალი იტალიის მისწრაფებას ეროვნული აღორძინებისადმი. მაგრამ ჩვენ ვერ ვაღიარებთ, რომ იტალიის რაიმე ცდა—დაიპყროს სხვისი ტერიტორიები — შეეფერებოდეს იტალიის ნამდვილ ეროვნულ ინტერესებს. ცნობილია, რომ ამგვარი ცდები სხვა ხალხთა მიმართ მოწმობენ გარკვეული ვიწრო წრეების დამპყრობლურ ტენდენციებს და სრულიადაც არ გამოხატავენ ხალხის ნამდვილ ეროვნულ ინტერესებს. რომლებიც, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობენ ეკონომიურ აღორძინებაში, ქვეყნის შინაგანი ძალების განვითარების საფუძველზე, და სხვა ხალხებთან კარგი, მეგობრული ურთიერთობის დამყარებაში.

III

ხელშეკრულება და იტალიის ეროვნული ინტერესები

ბ-ნი დე გასპერი თითქმის არ შეხებია საზავო ხელშეკრულების ეკონომიურ მუხლებს, თუმცა სწორედ ამ მუხლებს შეუძლიათ შეეხონ ყოველი მუშის, ყოველი გლეხის, ყოველი მოქალაქის მდგომარეობას იტალიის რესპუბლიკაში და გავლენა იქონიონ იტალიის სახელმწიფოს მთელ შემდგომს არსებობაზე. როგორც შეიძლება გავიგოთ, მან ხელშეკრულების ეკონომიური მუხლები მიაკუთვნა მეორეხარისხოვან საკითხებს, რომლებიც განხილულ უნდა იქნან კომისიებში და არა თვით კონფერენციაზე. მაშინ როცა, ომში დასუსტებული იტალია, შესაძლებელია უფრო მეტად, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნები, ჩამორჩება თავისი ეკონომიური ცხოვრების აღდგენაში. საკმაოა ითქვას, რომ მრეწველობის აღდგენაში არსებულ სიძნელეთა გამო ორი მილიონი იტალიელი მუშა დღემდე უმუშევარი რჩება. იტალიის საოკუპაციო ხარჯებმა უდიდეს ოდენობას მიაღწიეს და მეტად მძიმე შედეგებს გამოიწვევენ, თუ მათი ვადა გაგრძელდა. ამ ხარჯების ოდნავი შემცირებაც კი საკმაო იქნებოდა, რომ მთლიანად დაფარულიყო რეპარაციები, რომლებიც იტალიამ უნდა იკისროს თუნდაც იმ ზარალის ნაწილობრივ ასანაზღაურებლად, რაც საბჭოთა კავშირსა და სხვა მოკავშირე ქვეყნებს მიაყენა.

იტალიის დელეგაციის მეთაური, როგორც სჩანს, მნიშვნელობას არ აძლევს საზავო ხელშეკრულების იმ ნაწილებს, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა იქონიონ იტალიელი ხალხის მთელ ეკონომიურ ცხოვრებაზე და იტალიის მთელ შემდგომ სახელმწიფო განვითარებაზე. ბოლოსდაბოლოს, ხალხი, რასაკვირველია, გაიგებს თავის მდგომარეობას მაშინაც კი, თუ იტალიის ესა თუ ის ხელმძღვანელი ძალიან გატაცებული იქნება საგარეო-პოლიტიკური გეგმებით და სხვათა მიწებზე პრეტენზიებით, დაივიწყებს მოვალეობას — უზრუნველჰყოს ყოველი იტალიელი აუცილებელი ლუკმა-პურით და იზრუნოს მის სხვა საარსებო საჭიროებაზე. მაგრამ თვალი არ უნდა დავხუჭოთ ამის შედეგებზე.

საბჭოთა კავშირი დიდ სიფრთხილეს იჩენს. მაგალითად, ისეთი მოთხოვნებისადმი, როგორიცაა გაერთიანებულ ერთაგან ყოველი უცხო სახელმწიფოს მოქალაქეებისათვის იტალიელებთან

(დასასრული მე-2 გვერდზე)

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ

Ვ. Მ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ 13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

თანასწორი უფლებანი ყველა საკითხში, რომლებიც ეხებიან იტალიაში ვაჭრობის, მრეწველობის, ნაოსნობისა და სხვა სახის ვაჭრულ საქმიანობას. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის მხრივ შეტანილია წინადადებანი შეზღუდულ იქნას უცხო სახელმწიფოთა და საერთოდ უცხოელთა ეს მეტისმეტად ფართო პრეტენზიები იტალიაში. ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ იმის საფრთხეს, რომ ძლიერს უცხო სახელმწიფოებს, რომელთაც დიდი კაპიტალები გააჩნიათ და ზეგავლენის დიდი საშუალებანი აქვთ, შეუძლიათ ეს ფაქტიურად განუსაზღვრელი უფლებანი გამოიყენონ იტალიის რესპუბლიკის ეროვნული ინტერესების საზიანოდ და ამასთან დაიმოწმონ გაერთიანებული ერების „თანასწორუფლებიანობა" და ეგრეთწოდებული „დისკრიმინაციის" შეუწყნარებლობა. ჩვენ არ შეგვიძლია მივემხროთ ასეთ მეტისმეტ პრეტენზიებს დემოკრატიული იტალიის მიმართ უცხოეთის კაპიტალის მხრივ, რასაც შეუძლია გამოიწვიოს უცხოეთის ტრესტებისა და კარტელების მიერ იტალიის ეკონომიური დამონება, როგორც ამას ხშირად ჩადიან დროებით დასუსტებული ქვეყნებისა და პატარა სახელმწიფოების მიმართ, და რაზედაც თვალს ხუჭავს ზოგიერთი მოღვაწე, რომელიც თავის თავს პატარა ხალხების პატენტოვან დამცველად სთვლის. ჩვენ გვგონია, რომ იტალია დასავლეთი ისტრიის უქონლად მშვენივრად შესძლებს ცხოვრებას, ვინაიდან ეს არ ვნებს იტალიელი ხალხის ნამდვილ ინტერესებს. მაგრამ თუ იტალიის მრეწველობა ან ვაჭრობა ან ნაოსნობა ჩახშობილ იქნა ძლიერი და ომის დროს კიდევ უფრო გამდიდრებული უცხო სახელმწიფოების კონკურენციით, ამას მძიმედ იგრძნობს თავის ტყავზე იტალიელი ხალხი, და ეს საფრთხე უნდა გავითვალისწინოთ ახლა, რათა იგი დროულად ავიცილოთ თავიდან. იტალიის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, აგრეთვე იტალიის ვაჭრობისა და ნაოსნობის დაცვა ძლიერი უცხო სახელმწიფოების ზეგავლენისაგან თანასწორუფლებიანობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის დროშით, რამდენადაც ასეთ ზეგავლენას შეუძლია გამოიწვიოს იტალიის ეკონომიკის დამონება, უდავოდ იტალიის, ისე როგორც ომით დასუსტებული ყველა სხვა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ეროვნული ინტერესია, რომ აღარ ვილაპარაკოთ პატარა ქვეყნებზე, რომლებისთვისაც სურთ წარადგინონ ასეთივე კაბალური ეკონომიური პირობები. საბჭოთა კავშირი თავის ეკონომიურ ურთიერთობას სხვა ქვეყნებთან ავითარებს ისეთი პირობებით, რომლებიც ხელსაყრელია მათი ეკონომიური აღორძინებისათვის, ისეთი პირობებით, რომლებიც ხელს უწყობენ მათი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და მთელი ეროვნული ეკონომიკის აღმავლობას. საბჭოთა კავშირს სურს იმედი იქონიოს, რომ სხვა ქვეყნებიც გამოხატავენ მზადყოფნას ხელი შეუწყონ იტალიის რესპუბლიკას მისი ეკონომიური ცხოვრების ისეთი პირობებით აღორძინების საქმეში, რომლებიც გამორიცხავენ ეკონომიურ ჩაგვრას და გარეშე ზეგავლენას დამოუკიდებელ და თავისუფალ იტალიაზე.

საქმე იქამდე მიდის, რომ სურთ, რათა იტალია იძლეოდეს ეგრეთწოდებულ „თანასწორ შესაძლებლობას" ყველა უცხო სახელმწიფოსათვის იტალიის ტერიტორიაზე სამოქალაქო ავიაციის განვითარებაში. ეს ნიშნავს, რომ, თუ იტალია რომელიმე სახელმწიფოს, რომელმაც მასთან მეგობრული ურთიერთობა დაამყარა, ამა თუ იმ ხელსაყრელ პირობებს მიანიჭებს იტალიის ტერიტორიაზე სამოქალაქო ავიაციის განსავითარებლად, მაშინ იტალიამ ასეთივე ხელსაყრელი პირობები უნდა მისცეს თავის ტერიტორიაზე სამოქალაქო ავიაციის განვითარებაში ყოველ სხვა უცხო სახელმწიფოს, რომელიც მოისურვებს ამგვარი პრეტენზიები წაუყენოს, თუნდაც ამ სახელმწიფოს ნამდვილად მეგობრული ურთიერთობა არ დაემყარებინოს იტალიის რესპუბლიკასთან. ეგრეთწოდებული „თანასწორი შესაძლებლობის" პრინციპის გატარება ასეთ საკითხებში იმას ნიშნავს, რომ იმ საკითხებშიც, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ეროვნული თავდაცვის ინტერესებთან, იტალიას უდგენენ ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც შეუთავსებელია ეროვნულ ინტერესებსა და სახელმწიფო სუვერენიტეტთან და, მაშასადამე, მათ საერთო არაფერი არა აქვთ საერთაშორისო სამართლიანობასთან. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, თუ სად მიგვიყვანს ეგრეთწოდებული „თანასწორი შესაძლებლობის" ბოროტად გამოყენება, სხვანაირად რომ ვთქვათ, „თანასწორობის" პრინციპის ბოროტად გამოყენება, როდესაც მას თავს ახვევენ სუსტს, რათა საქმით იგი ძლიერის თვითნებობის ობიექტი გახადონ. იტალიის დელეგაციის მეთაურმა გვერდი აუარა საზავო ხელშეკრულების ამ საკითხებს, როგორც ჩანს, მათ არ სთვლის არსებით საკითხებად ან გვერდი აუარა მათ რაღაც სხვა მოსაზრებებით. მაგრამ ჩვენთვის ცხადია, რომ ეს საკითხები მეტად სერიოზულად ეხებიან იტალიის ეროვნული ცხოვრების ძირითად ინტერესებს.

IV

ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲗᲘ ᲖᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲒᲠᲫᲝᲑᲐ

ბოლოს, იტალიის დელეგაციის მეთაურმა წამოაყენა მოულოდნელი აზრი, რომ ამჟამად უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ დროებითი მშვიდობის დამყარებით, ე. ი. ფაქტიურად განვაგრძოთ დროებითი ზავი, და რომ საბოლოო მშვიდობიანი მოწესრიგება უნდა გადაიდოს რამდენიმე ხნით, ამასთან გვაგრძნობინა, რომ მას აქვს იმედი ასეთი მდგომარეობა, სხვათა შორის, გამოიყენოს უფრო ხელსაყრელი პირობების მოლოდინის მიზნით დასავლეთ ისტრიასა და ტრიესტზე მისი პრეტენზიების განსახორციელებლად. ამასთან იგი თავის აზრს იმითაც კი ასაბუთებდა, რომ ევროპის სრული მოწყობის მიღწევა შეუძლებელია გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებამდე, თუმცა გერმანიის საკითხს, როგორც გასაგებია, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ისტრიისა და ტრიესტის საკითხთან. ცხადია, სადღაც არსებობს მოსაზრება ამის თაობაზე, რომ თუ ახლა არა, რამდენადმე უფრო გვიან მოხერხდება იმ კომპრომისის ჩაშლა, რომელიც ტრიესტის საკითხზე მიღწეულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ, ადევნებენ რა თვალყურს აზრთა სხვადასხვაობის მომენტებს პარიზის კონფერენციაზე, ზოგან ადგენენ დროის მოგებისა და ამ უთანხმოებათა თავის ვიწრო მიზნებით გამოყენების ვარაუდს. საინტერესოა, რამდენად შორს წავიდა ამ საქმეში იტალიის დელეგაციის მეთაური. მისი წინადადება — ამჟამად დავკმაყოფილდეთ დროებითი მშვიდობის დამყარებით — იმას ნიშნავს, რომ იგი თანახმაა მნიშვნელოვნად გაგრძელდეს უცხოელთა მიერ მისი ქვეყნის ოკუპაცია, ოღონდ კი მიიღოს ახალი შესაძლებლობა, რათა განახორციელოს მოკავშირეთა შორის ზოგიერთი უთანხმოების გამოყენების ცდა და ითამაშოს ერთი მოკავშირე სახელმწიფოთა დაპირისპირებით სხვა მოკავშირე სახელმწიფოებისადმი. ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ასეთ პოლიტიკას საერთო არაფერი არა აქვს იტალიის ეროვნულ ინტერესებთან. პირიქით, არსებულ პირობებში ოკუპაციის გრძელი ვადით გაჭიანურება იტალიას სულ უფრო მეტ დამოკიდებულებაში აყენებს უცხოეთის სახელმწიფოებისაგან. თუ, მიუხედავად ამისა, ზოგი ვინმე იტალიის ხელმძღვანელთაგან მაინც მზადაა ამ გზით იაროს, ეს ერთხელ კიდევ გამოხატავს იმ ძველი მმართველი წრეების ასეთი ჩვევების ცხოველუნარიანობას, რომლებიც უცხო უნდა იყოს დემოკრატიული იტალიისათვის და რომელთაც ჩვენს დროში არ შეიძლება გარკვეული ხელსაყრელი პერსპექტივები ექნეს.

დროებითი მშვიდობის წინადადება ამ საზავო კონფერენციაზე მხარდამჭერას ვერ ჰპოვებს. კონფერენციაზე ჩვენ შევიკრიბეთ არა იმისათვის, რომ გადავდოთ ევროპაში მშვიდობის დამყარება. ჩვენი ამოცანა ის არის, რომ ხელი შევუწყოთ მტკიცე მშვიდობის დამყარებას და ჩვენი საერთო ღონისძიებებით უზრუნველვყოთ ამ კეთილშობილური ამოცანის შესრულება. შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ ახლანდელი კონფერენციის ამოცანების ასეთი გაგება შეეფერება აგრეთვე ახალი იტალიის სწორად გაგებულ ინტერესებს.

იტალიის დელეგაციის მეთაურის სიტყვამ დაგვანახვა, რომ ახალ იტალიაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ძველი ტენდენციები, რომლებიც უცხოა იმ დემოკრატიული სახელმწიფოების პოლიტიკისათვის, მტკიცე მშვიდობის დამყარებისაკენ რომ ისწრაფვიან. მიუხედავად ამისა, იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი იტალიის დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცება ხელს შეუწყობს იმას, რომ იტალია დაადგეს იმ გზას, რომლითაც მიდიან სხვა დემოკრატიული ქვეყნები. ამ მაღალ მიზნებს უნდა შეეფერებოდეს ის საზავო ხელშეკრულებაც იტალიისათვის, რომლის მომზადებას ჩვენი კონფერენცია იწყებს.

ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ირანის ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰოსეინ ალამ განუცხადა, რომ, მის მიერ მიღებული ცნობებით, ირანის ჩრდილოეთის საზღვარზე საბჭოთა ჯარების კონცენტრაცია ხდება ერაყის ნავსადგურ ბასრაში ინგლისის ჯარების კონცენტრაციის საპასუხოდ.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ აღნიშნული ცნობა ირანის საზღვარზე საბჭოთა ჯარების კონცენტრაციის შესახებ პროვოკაციულ მონაჭორს წარმოადგენს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲕᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ

13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

პარიზი, 13 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღევანდელი დილის სხდომა აღინიშნა იმით, რომ თავმჯდომარემ ბირნსმა კვლავ უხეშად დაარღვია კონფერენციის წარმართვის წესი.

გუშინ, მას შემდეგ რაც ჩაიშალა დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატთა ცდები — ჩაეფუშათ იტალიის დეკლარაციის განხილვა, ბირნსმა გამოაცხადა, რომ თუ მზად არის ჩაწეროს ყველა, ვისაც აზრის გამოთქმა სურს. პირველმა მოითხოვა სიტყვა საბჭოთა დელეგაციამ, და ბირნსმა სთქვა: „სიამოვნებით ვწერ ბატონ მოლოტოვს ორატორთა სიაში ხვალ დილისათვის".

მაგრამ დღეს დილით ბირნსმა, დღის წესრიგისა და ორატორთა სიის გამოუცხადებლად, მოულოდნელად განაცხადა, რომ იგი პირველ სიტყვა მისცეს არა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელს, არამედ ეთიოპიის წარმომადგენელს, რომელმაც თითქოს უფრო ადრე ითხოვა სიტყვა, თუმცა წინადღეს ამაზე ლაპარაკი არ ყოფილა. ბირნსის განცხადება მით უფრო უცნაური იყო, რომ ეთიოპიის დელეგატი სხდომის დაწყების მომენტში დარბაზში არ ჩანდა და გამოსვლა არ შეეძლო.

საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელმა ვიშინსკიმ მოითხოვა წესრიგის დამყარება პლენარული სხდომების მუშაობაში.

— უკანასკნელი სხდომების გამოცდილებამ ცხადჰყო, — განაცხადა მან, — რომ სხვადასხვა გაუგებრობანი იქმნება იმის გამო, რომ დელეგაციები ინფორმირებული არ არიან იმ საკითხებზე, რომლებსაც მოულოდნელად წამოაყენებენ ხოლმე მათ წინაშე. საბჭოთა დელეგაცია მტკიცედ მოითხოვს, რომ, სანამ მუშაობა დაიწყებოდეს, განისაზღვროს დღის წესრიგი. ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნება დღეს დღის წესრიგი, ჩვენ არ ვიცით, რა საკითხები დგას ჩვენს წინაშე, არ ვიცით, რომელი ორატორები არიან ჩაწერილი კამათში. გამოცდილება ცხადჰყოფს, რომ ამ ნიადაგზე გაუგებრობანი იქმნება და ზედმეტი დრო იხარჯება ამ გაუგებრობათა გამოსარკვევად. ჩვენ გთხოვთ გამოაცხადოთ დღის წესრიგი და ორატორთა სია.

ბირნსმა ამ გამოსვლაზე უპასუხა სრულიად არადამაჯერებელი განცხადებით იმის შესახებ, რომ მას სამდივნოსაგან ჯერ კიდევ არ მიუღია სხდომის დღის წესრიგი და მიიღებს თუ არა მას, მაშინვე აცნობებს კონფერენციას. ბირნსმა სთქვა, რომ კამათში ჩაწერილია ჯერჯერობით მხოლოდ ორი ორატორი — ეთიოპიის წარმომადგენელი, რომელიც ჯერ სხდომაზე არ ჩანს, და სსრ კავშირის წარმომადგენელი. ამის შემდეგ მან სიტყვა მისცა საბჭოთა დელეგაციის მეთაურს მოლოტოვს.

მოლოტოვის სიტყვა კონფერენციის მონაწილეებმა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და ხშირად აწყვეტინებდნენ ტაშით.

მოლოტოვის გამოსვლის შემდეგ სიტყვა მიეცა ეთიოპიის წარმომადგენელ ტაზხას.

ეთიოპიის წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა მტკიცედ მოითხოვს, რათა იტალიამ პასუხი აგოს აგრესიაში მონაწილეობისათვის.

— ეთიოპიის დელეგაცია გაკვირვებით აღნიშნავს, — სთქვა მან, — რომ იტალიის წარმომადგენელი თვალისწინებს იტალიის ბატონობის აღდგენას მისი ყოფილი კოლონიების ტერიტორიაზე. იგი დაჟინებით მოითხოვს დაბრუნებულ იქნან კოლონიებში ათეულ ათასობით ფაშისტები, რომლებიც იქ 1935 წელს ჩავიდნენ აგრესიაში მონაწილეობის მისაღებად. იტალიელები, რომელთა დაბრუნებასაც დე გასპერი მოითხოვს, სამხედრო ტყვეები და ცნობილი ფაშისტები არიან, ომის დროს ამ ტერიტორიებიდან განდევნილნი.

ეთიოპიის დელეგაცია ამაოდ ეძებდა იტალიის წარმომადგენლის განცხადებაში სინანულის თუნდაც ერთ სიტყვას იმის გამო, რომ იტალიამ საშინელი ტანჯვა მიაყენა თავისი აგრესიის მსხვერპლთ და, კერძოდ, ეთიოპიის ხალხს, რომლის წინააღმდეგ მახრჩობელა გაზებიც კი გამოიყენა.

ეთიოპიის დელეგატმა აღნიშნა, რომ სხვისი ტერიტორიების დაპყრობის მოთხოვნები, რაც გამოთქმულია დე გასპერის განცხადებაში, პირდაპირ ეწინააღმდეგება მის განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი გამოდის როგორც წარმომადგენელი ახალი, დემოკრატიული იტალიისა, რომელმაც წარსულთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა საბერძნეთის დელეგატმა ცალდარისმა. მან სცადა გამოეყენებინა კამათი იტალიის განცხადების გამო, რათა ერთხელ კიდევ გაემეორებინა წინათ ჩაშლილი ცდები აგრესიის მსხვერპლის — ალბანეთის გათანაბრებისა აგრესორთან — იტალიასთან. იგი კვლავ ცილსა სწამებდა ალბანეთს და უყენებდა მას ტერიტორიულ მოთხოვნებს. ცალდარისმა განაცხადა, რომ საბერძნეთის მთავრობა პრეტენზიას აცხადებს იტალიისაგან რეპარაციების მიღებაზე ისეთი ოდენობით, რაც საგრძნობლად აანაზღაურებდა იმ ზარალს, რომელიც საბერძნეთს მოუვიდა.

* * *

დღეს პრესის წარმომადგენლებისათვის გამოყოფილ კულუარებში ბევრი ლაპარაკია თავმჯდომარეობის იმ უპრეცედენტო მანერაზე, რასაც ამერიკის დელეგაციის მეთაური ბირნსი იჩენს. სხდომის თავმჯდომარის ამ მანერას მთელი რიგი გაზეთებიც აღნიშნავენ.

კონფერენციის გუშინდელი სხდომის ანგარიშში, სათაურით: „მრავალი ინციდენტები და უთავბოლო კამათი" გაზეთი „ლიბერასიონ" სწერს: „გუშინ საზავო კონფერენცია წარმოადგენდა უბადრუკ სანახაობას, რომელიც სასაცილო იქნებოდა, ესოდენ დიდმნიშვნელოვან საკითხთან რომ არ ვქონოდეს საქმე. ჯერ არასოდეს არ ყოფილა კამათი ასე უთავბოლო და უწესრიგო".

ამასვე აღნიშნავენ ამათუიმ ფორმით პარიზის სხვა გაზეთებიც. „ფიგარო" სწერს, რომ ბირნსი ბოლოსდაბოლოს იძულებული გახდა „იარაღი დაეყარა ვიშინსკის არგუმენტების წინაშე". „ლუმანიტე", თავის მხრივ, შენიშნავს, რომ ბირნსმა „ბოლოს იარაღი დაჰყარა ფაქტების წინაშე".

ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" პარიზის გამოცემა დაწვრილებით აწერს იმ სცენას, როცა საბჭოთა დელეგატმა ვიშინსკიმ სხდომის თავმჯდომარე ბირნსი კონფერენციის პლენუმის გადაწყვეტილების არასწორ განმარტებაში ამხილა, რის გამოც ბირნსი იძულებული გახდა გამოეთხოვა წინა სხდომის სტენოგრამა და მასთან გაცნობის შემდეგ ეღიარებინა საბჭოთა წარმომადგენლის სიმართლე.

გაზეთი „ობ", რომელსაც, ეტყობა, სურს კარგი ან, ყოველ შემთხვევაში, თავაზიანი გამომეტყველება მაინც მიიღოს ცუდი თამაშის დროს, აცხადებს, რომ ბირნსი „თავმჯდომარეობს ჭეშმარიტად ამერიკული ხალისიანი მანერით, ე. ი. უცერემონიოდ". თუ გაზეთს ამ გატყლარჭული ფრაზით იმის თქმა სურს, რომ ჩვენს დროს თავმჯდომარეობის „ამერიკული მანერა" უდიდეს მოურიდებლობაში მდგომარეობს, იგი უეჭველად მართალია.

13 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲞᲚᲔᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

პარიზი, 13 აგვისტო. (საკდესის სპეც. კორ.). დღევანდელი საღამოს სხდომა მიეძღვნა რუმინეთის დელეგაციის განცხადების მოსმენას რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის შესახებ.

რუმინეთის მთავრობის სახელით გამოვიდა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტატარესკუ.

ᲢᲐᲢᲐᲠᲔᲡᲙᲣᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ტატარესკუმ იმით დაიწყო, რომ მადლობა გადაუხადა კონფერენციას იმისათვის, რომ მან შესაძლებლობა მიეცა გამოსთქვას რუმინეთის მთავრობის თვალსაზრისი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ წამოყენებულ საზავო ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით. მან მადლობა გადაუხადა მინისტრების საბჭოს იმ გადაწყვეტილებისათვის, რაც აუქმებს ჰიტლერის 1940 წლის ვენის დიქტატს, რომელმაც ჩრდილოეთ ტრანსილვანია თვითნებურად შეუერთა უნგრეთს, და რუმინეთ-უნგრეთის 1938 წლამდე არსებული საზღვრის აღდგენისათვის.

შემდეგ იგი გამოსთქვამს რუმინეთის მთავრობის შენიშვნებს საზავო ხელშეკრულების პროექტის ცალკეულ დებულებათა გამო.

როგორც ტატარესკუ აღნიშნავს, რუმინეთის მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ხელშეკრულების პროექტში არ მოიპოვება რუმინეთის განსაზღვრა, როგორც თანამებრძოლი მხარისა, ვინაიდან რუმინეთის სამხედრო და ეკონომიური ღონისძიებანი წარსული ომის უკანასკნელ ეტაპზე აძლევენ ასეთი განსაზღვრის უფლებას. ტატარესკუ ამბობს, რომ 1944 წლის 23 აგვისტოდან მოყოლებული, რუმინელმა ხალხმა თავისი იარაღი მიმართა გერმანიისა და მისი სატელიტების წინააღმდეგ და დიდი რისკისა და მსხვერპლის ფასად დაამსხვრია ფაშისტურ გერმანიასთან დამღუპველი თანამშრომლობის ბორკილი, რომელიც რუმინეთს თავს მოახვიეს ერთმა მუჭა ავანტიურისტებმა და გამცემლებმა. რუმინეთის ჯარის ნაწილები წითელი არმიის ჯარებთან ერთად იბრძოდნენ გერმანიისა და უნგრეთის ჯარების წინააღმდეგ.

ტატარესკუს მოჰყავს დაწვრილებითი ცნობები, რომლებიც ახასიათებენ რუმინეთის სამხედრო ღონისძიებებს გაერთიანებული ერების საერთო საქმისათვის ბრძოლაში.

ტატარესკუ აღნიშნავს, რომ საზავო ხელშეკრულების პროექტში არაფერია ნათქვამი გერმანიისა და უნგრეთის რეპარაციებზე რუმინეთის სასარგებლოდ, და მტკიცედ მოითხოვს, რომ ამ ქვეყნებმა აანაზღაურონ მათ მიერ რუმინეთისათვის მიყენებული ზარალი. რუმინეთი თანახმაა შეუერთდეს ყველა ზომას, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მიიღებს ყველა ხალხთა არმიის შემადგენლობისა და შეიარაღების შეზღუდვის მხრივ. მაგრამ მას უსამართლოდ მიაჩნია იმ სამხედრო შემზღუდავი ზომების ხასიათი, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულია რუმინეთის მიმართ საზავო ხელშეკრულების პროექტით და რომლებიც რეპრესიულ ხასიათს ატარებენ.

ტატარესკუ გადადის საზავო ხელშეკრულების პროექტის ეკონომიურ მუხლებზე და ამბობს, რომ ზოგიერთი ეს მუხლი ძნელად შესასრულებელია და თავისი სირთულისა და გაურკვევლობის გამო შეიძლება მან გზა გაუხსნას ხელოვნურ მოთხოვნებს, რომელთა გათვალისწინება და შეფასება შეუძლებელია.

„იმ რეპარაციების საკითხში, რომლებიც ჩვენ მოკავშირე სახელმწიფოებს უნდა გადავუხადოთ, — აღნიშნავს ტატარესკუ, — ჩვენ არ შეგვეძლო დუმილით აგვევლო გვერდი იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირი, რომელსაც ყოველ სხვა სახელმწიფოზე უფრო მეტად ეკუთვნის უფლება მოსთხოვოს რუმინეთს სრული რეპარაციები, მიუხედავად ამისა, დაკმაყოფილდა იმის მოთხოვნით, რომ რუმინეთმა აანაზღაუროს მას იმ ზიანის მხოლოდ 1/5, რაც მას რუმინეთის მიზეზით მოუვიდა. ამიტომ უცნაური იქნებოდა გვეხილა, რომ სხვა მოკავშირე და შეერთებულ სახელმწიფოებს, რომელთა ტერიტორიაზეც რუმინეთს სამხედრო მოქმედება არასოდეს უწარმოებია, წარედგინოთ მისთვის მოთხოვნები, მით უფრო მძიმე, რომ მისი ეკონომიური მდგომარეობა გაუარესდა".

როგორც რუმინეთის წარმომადგენელი აღნიშნავს, რუმინეთისათვის წაყენებული ზოგიერთი მოთხოვნა იმ პრეტენზიამდე მიდის, რომ ანაზღაურებულ იქნას არაპირდაპირი და არარსებული ზარალიც კი.

რუმინეთის მთავრობა შეშფოთებულია საზავო ხელშეკრულების პროექტის 30-ე მუხლით, რომლის თანახმადაც განსაზღვრულ პერიოდსა და მეტად განუსაზღვრელ პირობებში რუმინეთში გამოყენებულ უნდა იქნას უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი ყველა გაერთიანებული ერისათვის. პრაქტიკულად ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ რუმინეთი იძულებული გახდებოდა შეესრულებინა ვალდებულებანი სრულიად უკომპენსაციოდ. ამით დაირღვეოდა რუმინეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტი ეკონომიური პოლიტიკის დარგში. ასეთ პირობებში რუმინეთის ეკონომიკის აღდგენისაკენ მიმართული ყოველგვარი ღონისძიებები ილუზორული აღმოჩნდებოდა. საზავო ხელშეკრულებაში ასეთი მუხლის შეტანა რუმინეთის მთავრობას მით უფრო ნაკლებად დასაბუთებული ეჩვენება, რომ მას არავითარი კავშირი არა აქვს სამხედრო მოქმედებასთან ან მის შედეგებთან.

ტატარესკუმ აღნიშნა, რომ რუმინეთის მთავრობას უსამართლოდ მიაჩნია ერთნაირი რეჟიმის დამყარება როგორც კეთილსინდისიერად, ჩვეულებრივ სავაჭრო გარიგებათა გზით შეძენილი საკუთრებისადმი, ისე ძალდატანებით გზით ხელში ჩაგდებული საკუთრებისადმი.

დასასრულ რუმინეთის დელეგატმა სთქვა:

„ამ შენიშვნების წარმოდგენით, რუმინეთის მთავრობას სურს განაცხადოს, რომ რუმინეთი შესძლებს კეთილსინდისიერად შეასრულოს ყველა ვალდებულებანი, რომლებსაც იგი საზავო ხელშეკრულების ძალით იკისრებს, იმ სურვილით აღფრთოვანებული, რომ კვლავ დაიკავოს და შეინარჩუნოს თავისი ადგილი თავისუფალ ხალხთა რიგებში.

რუმინეთის საზღვრის დადგენით ხელშეკრულების პროექტი სპობს ევროპის ამ ნაწილში კონფლიქტის ყოველგვარ შესაძლებლობას და გადაგვიშლის რუმინელი ხალხისა და ყველა მისი მეზობლის მშვიდობიანი და ჰარმონიული თანამშრომლობის პერსპექტივებს. რაც შეგვეხება ჩვენ, დღეს ჩვენ მივისწრაფვით აღმოვფხვრათ იმ საბედისწერო ომის შედეგები, რომელსაც საბჭოთა კავშირისა და გაერთიანებული ერების წინააღმდეგ ვაწარმოებდით".

ტატარესკუს სიტყვის დამთავრების შემდეგ რუმინეთის დელეგაციამ სხდომის დარბაზი დატოვა. სხდომის თავმჯდომარემ ბირნსმა მოუწოდა კონფერენციის წევრებს თავისი აზრი გამოსთქვან რუმინეთის დელეგაციის მიერ მოყვანილ მოსაზრებათა გამო. სიტყვა მიეცა საბჭოთა დელეგაციის წარმომადგენელ ვიშინსკის.

Ა. ᲕᲘᲨᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ბატონო თავმჯდომარევ, ბატონო დელეგატებო! ჩვენ ეს არის ახლა მოვისმინეთ რუმინეთის დელეგაციის განცხადება, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ბ-ნმა ტატარესკუმ. ამ განცხადებაში გამოთქმული იყო რუმინეთის მთავრობის შეხედულებანი, მოსაზრებანი, ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნები და სურვილები რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტის შესახებ. ჩვენ მივესალმებით ახალ დემოკრატიულ რუმინეთს. ჩვენ მივესალმებით მის მისწრაფებას გამოისყიდოს თავისი ქვეყნის დანაშაული დემოკრატიული ქვეყნების წინაშე, რომლებმაც განიცადეს თავდასხმა ჰიტლერული გერმანიის მხრივ, ვისი ერთ-ერთი მოკავშირეც რუმინეთი იყო. ჩვენ მივესალმებით რუმინეთის მთავრობას — რუმინეთის დემოკრატიული ძალების კონცენტრაციის მთავრობას — გადაწყვეტილებას სამუდამოდ მოსპოს ფაშისტური წარსულის საძაგელი მემკვიდრეობა, ყველა ნაშთი ფაშიზმისა და რკინისგვარდიელობისა, რომელნიც რუმინელი ხალხისათვის ანტონესკუს და მის თანამონაწილეთა დანაშაულებრივი ხროვის მიერ თავზე მოხვეული ომის უბედურებათა წყაროს წარმოადგენდნენ. რუმინეთის მთავრობა, რომელიც გამოხატავს რუმინელი ხალხის ნებას, მტკიცე რწმენით მიდის დემოკრატიზაციის გზით, თავისი ქვეყნის დემოკრატიულ გარდაქმნათა გზით. რუმინეთის მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად მუშაობს ამ ამოცანის გადასაჭრელად, მიუხედავად ამ საქმეში არსებული საკმაოდ დიდი სიძნელეებისა, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, რომ დემოკრატიულ რეფორმებს წინააღმდეგობას უწევენ ანტიდემოკრატიული, ანტისახალხო რეაქციული ძალები, რომლებიც ცდილობენ ყველა საშუალებით, საბოტაჟით და ტერორისტული აქტებითაც კი, შეუშალონ ხელი რუმინეთის დემოკრატიზაციას, ამ დემოკრატიულ რეფორმებს, რასაც რუმინეთის ახლანდელი მთავრობა ახორციელებს.

რუმინეთის მთავრობა მტკიცე რწმენით მიდის თავის მეზობლებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების გზით და ამით ადასტურებს, რომ მას კეთილი სურვილი აქვს ითანამშრომლოს ყველა დემოკრატიულ მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან.

1944 წლის 24 აგვისტოს, როცა ომის ამბების შემდგომი მსვლელობის პერსპექტივები ჯერ კიდევ გარკვეული არ იყო და როცა ჰიტლერული გერმანიის ბედი ჯერ კიდევ არ ჩანდა საკმაოდ ცხადად, რუმინეთმა გადამწყვეტი მობრუნება მოახდინა თავის საგარეო პოლიტიკაში. რუმინეთმა სავსებით შეწყვიტა სამხედრო მოქმედება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის ყველა ასპარეზზე, იგი გაერთიანებული ერების წინააღმდეგ წარმოებული ომიდან გამოვიდა, გაწყვიტა ურთიერთობა გერმანიასთან და მის სატელიტებთან, ჩაება ომში მოკავშირე სახელმწიფოთა მხარეზე გერმანიისა და უნგრეთის წინააღმდეგ. 1944 წლის 12 სექტემბერს დადებული დროებითი ზავის შეთანხმებით რუმინეთმა ვალდებულება იკისრა გამოეყვანა ჩვენი მტრის, ყველა გაერთიანებული ერის მტრის წინააღმდეგ სულ ცოტა 12 დივიზია გაძლიერების ყველა საშუალებითურთ. ამ აქტით რუმინეთმა დახმარება აღმოუჩინა გაერთიანებულ ერებს და, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირს, რომელმაც სხვა ქვეყნებზე მეტად განიცადა გერმანიისა და მისი სატელიტების სამხედრო თავდასხმათა სიმძიმე.

ომის ამბების შემდგომმა განვითარებამ დაადასტურა იმ ნაბიჯის მნიშვნელობა, რომელიც რუმინელმა ხალხმა გადასდგა, იმ ნაბიჯისა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ რუმინელმა ხალხმა დაამხო ანტონესკუს მთავრობა, ეს ჰიტლერული აგენტურა, დადგა დემოკრატიული ქვეყნების მხარეზე და ჰიტლერული გერმანიისა და მის ერთგულად დარჩენილი სატელიტების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე გახდა.

თითქმის ორი წლის განმავლობაში რუმინეთის მთავრობა კეთილსინდისიერად ასრულებს შეთანხმებას დროებითი ზავის შესახებ და, კერძოდ, შეთანხმების იმ პირობებს, რომლებიც შეეხებიან ამ ქვეყნის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების დემოკრატიზაციის ამოცანებს. ამ ორ წელიწადში რუმინეთის მთავრობამ გაატარა ისეთი დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი, როგორიც არის მიწის რეფორმა. მიწის რეფორმის შედეგად რუმინეთში ძირითადად ლიკვიდირებულ იქნა უმიწაწყლობა. ასეულ ათასობით რუმინელმა გლეხმა მიიღო მიწა, ხოლო ამას არ შეიძლებოდა კეთილმყოფელი გავლენა არ მოეხდინა რუმინეთის მთელი სახალხო მეურნეობის მდგომარეობაზე.

ამ წლების მანძილზე რუმინეთში გატარდა მთელი რიგი სხვა დემოკრატიული საკანონმდებლო ღონისძიებანი ხალხის სასარგებლოდ. ყოველივე ეს, აგრეთვე საგარეო პოლიტიკა, რომელსაც რუმინეთის მთავრობა ატარებს, მოწმობს რუმინეთის მთავრობის მისწრაფებას — თანმიმდევრულად, მტკიცედ განახორციელოს რუმინეთის დემოკრატიულ საფუძვლებზე გარდაქმნის პროგრამა.

რუმინეთი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ვალდებულებებს დროებითი ზავის 12 სექტემბრის შეთანხმების მიხედვით და, კერძოდ, თავის სარეპარაციო ვალდებულებებს. სამართლიანობა მოითხოვს, რომ არ დავივიწყოთ ომით გამოწვეული უბედურება და ტანჯვა, რაც თავს დაატყდა მშვიდობისმოყვარე ხალხებს გერმანიისა და მისი სატელიტების მიზეზით. ის ქვეყნები, რომლებმაც გამოიწვიეს ეს ომი და რომლებიც აწარმოებდნენ ომს, არ შეიძლება განთავისუფლებულ იქნან და არც უნდა განთავისუფლდნენ ომისათვის პასუხისმგებლობისაგან. არ შეიძლება განთავისუფლებულ იქნას და არც უნდა განთავისუფლდეს საბჭოთა კავშირის და მის მოკავშირეთა წინააღმდეგ ომში მონაწილეობისათვის რუმინეთიც, რომელიც გერმანიასთან ერთად თავს დაესხა სსრ კავშირს და უბედურება და გაჭირვება მოუტანა ჩვენს ქვეყანას.

ასეთია მოთხოვნები სამართლიანობისა, რომლის წინაშეც ქედი უნდა მოიხარონ დამარცხებულმა ქვეყნებმა. სამხედრო აგრესიებისაგან დაზარალებული ქვეყნების ინტერესები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული. ამით აიხსნება ისიც, რომ საზავო ხელშეკრულების პროექტი, რომელიც ამ კონფერენციამ უნდა განიხილოს, შეიცავს მუხლებსა და განყოფილებებს, რომლებიც დამარცხებულთ დიდი პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო მნიშვნელობის ვალდებულებებს აკისრებენ.

მეორე მხრივ, რუმინეთის მონაწილეობა გერმანიის წინააღმდეგ ომში, თუმცადა ამ ომის უკანასკნელ ეტაპზე, და ის ფაქტი, რომ 1944 წლის აგვისტოში იგი გაერთიანებულ ერებს მიემხრო, რამაც გააფართოვა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი დემოკრატიული ქვეყნების ფრონტი, აგრეთვე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

რუმინეთთან საზავო ხელშეკრულების პრეამბულა ითვალისწინებს ყოველივე ამას სათანადო ადგილას, სახელდობრ პროექტის ტექსტის მესამე აბზაცში. მაგრამ საბჭოთა მთავრობა არ სჯერდება საქმის დეკლარაციულ მხარეს, მხოლოდ დეკლარაციულ ფორმულას ზემოაღნიშნული აზრით, როგორც ეს მოცემულია პრეამბულაში. საბჭოთა მთავრობა ისეთი საკითხების გადაწყვეტისას, როგორიც არის, მაგალითად, სარეპარაციო საკითხი ან ზიანისა და ზარალის ანაზღაურების საკითხი, წინადადებას იძლევა დავეყრდნოთ არა მარტო იმ ვარაუდს, რომ დაკმაყოფილებულ იქნას იმ ქვეყნების კანონიერი, სამართლიანი მოთხოვნები, რომლებმაც აგრესია განიცადეს, არამედ მხედველობიდან გაშვებულ არ იქნას დამარცხებული ქვეყნების ნაციონალური ინტერესებიც. ეს განსაკუთრებით უნდა ვიქონიოთ მხედველობაში საზავო ხელშეკრულების პროექტის ეკონომიური მუხლების, კერძოდ, ისეთი მუხლების განხილვისას, როგორიც არის, მაგალითად, მუხლი 24-ე, რომელზეც მინისტრების საბჭომ, სამწუხაროდ, შეთანხმებას ვერ მიაღწია. ეს მუხლი წინადადებას იძლევა დაეკისროს რუმინეთს პასუხისმგებლობა არა მარტო პირდაპირი ზიანისათვის, რაც გაერთიანებული ერების წინააღმდეგ ომში მისმა მონაწილეობამ გამოიწვია, არამედ ეგრეთწოდებული არაპირდაპირი ზიანისთვისაც, სხვანაირად რომ ვთქვათ, განახორციელოთ პრინციპი, რომელიც ცნობილია ჯერ კიდევ რომის სამართალში, ე. ი. „damnum emergens, lucrum cessans".

ეს საქმე აღემატება ამ ქვეყნის ძალღონეს თანამედროვე პირობებში, და ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომლის შედეგადაც ზარალის ანაზღაურების ამოცანებისადმი სხვადასხვა მიდგომის გამო, მიღწეულ არ იქნა შეთანხმება მინისტრების საბჭოში. აგრეთვე უნდა დავასახელოთ 27-ე და 30-ე მუხლები, რომლებზეც მიღწეულ არ იქნა შეთანხმება მინისტრების საბჭოში და რომლებიც შეთანხმებულ უნდა იქნას, როგორც ჩვენ ვიმედოვნებთ, ჩვენი კონფერენციის შემდგომ მუშაობაში.

საბჭოთა მთავრობას და საბჭოთა დელეგაციას ყოველ შემთხვევაში იმის იმედი აქვთ, რომ მათს დასაბუთებულ და სამართლიან პოზიციას მხედველობაში მიიღებენ სხვა დელეგაციები და ამ საფუძველზე შესაძლებელი აღმოჩნდება საერთო თანხმობის მიღწევა.

ძირითადი პრინციპი, რომლითაც საბჭოთა დელეგაცია ხელმძღვანელობს, რომლითაც ხელმძღვანელობდა იგი ორი წლის წინათ, როცა დროებითი ზავის შეთანხმებას სდებდა რუმინეთთან, ისევე როგორც გერმანიის სხვა ყოფილ სატელიტებთან, ის არის, რომ ზარალის ანაზღაურება შეზღუდულ იქნას ერთგვარი საზღვრებით, რომ ეგრეთწოდებული კომპენსაცია ნაწილობრივი იყოს, იმიტომ რომ შეუძლებელია, თუ მხედველობაში მივიღებთ ობიექტურ პირობებს და იმ ქვეყნების ობიექტურ მდგომარეობას, რომლებმაც ზიანი მიაყენეს გაერთიანებულ ერებს მათ წინააღმდეგ ომში მონაწილეობით, — შეუძლებელია მოვითხოვოთ მიყენებული ზიანის სრული ანაზღაურება იმ ვარაუდით, რომ მათ შესაძლებლობა ექნეთ შეასრულონ ეს მოთხოვნები. მაგრამ ისეთი მოთხოვნების წაყენება, რომელთა შესრულება შეუძლებელია, იმდენადვე უსამართლოა, რამდენადაც არაგონივრული. სწორედ ზიანის ნაწილობრივი ანაზღაურების ამ მოთხოვნას აყენებს საბჭოთა დელეგაცია აგრეთვე სხვა დამარცხებული ქვეყნების მიმართ. ეს მოთხოვნა სამართლიანია როგორც რუმინეთის მიმართ, ისე ფინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის მიმართ. ეს ისევე სამართლიანია საბჭოთა კავშირისაგან გამომდინარე მოთხოვნების მიმართ, როგორც გაერთიანებული ერების ბანაკის სხვა ქვეყნებისაგან გამომდინარე მოთხოვნების მიმართ.

ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირი მაშინაც, როცა ამ ორი წლის განმავლობაში რუმინეთის მიერ იმ ვალდებულებათა რეალიზაციის დროს, რომლებიც მან დაიკისრა 1944 წლის 12 სექტემბრის შეთანხმებამ დროებითი ზავის შესახებ, რუმინეთს აძლევდა მთელ რიგ შეღავათებს, რუმინეთის ობიექტური მდგომარეობის გათვალისწინებით. ეს უნდა ითქვას რეპარაციების ვადის ექვსიდან რვა წლამდე გაგრძელების შესახებ და ხელშეკრულების ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მუხლების რეალიზაციის შესახებ, როგორიც არის, მაგალითად, დროებითი ზავის შეთანხმების მუხლი მე-10, მუხლი მე-11, მუხლი მე-12.

რუმინეთის მთავრობის წარმომადგენლის აქ მოსმენილ დეკლარაციაში საბჭოთა დელეგაცია ვერ ხედავს რაიმე პრინციპულ დებულებას, რომელიც მოითხოვდეს პასუხს ან შესწორებას ანდა სპეციალურ შენიშვნას. საბჭოთა მთავრობას კმაყოფილებით შეუძლია აღნიშნოს, რომ რუმინეთის მთავრობა მტკიცე ხელით უკაფავს თავის ქვეყანას გზას მშვიდობისმოყვარე ხალხთა დემოკრატიული ქვეყნების ოჯახისაკენ. რამდენადაც რუმინეთმა ლიკვიდაცია უყო თავის ძველ როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკას და დაადგა თავისი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების თანმიმდევრული დემოკრატიზაციის ახალ გზას, ჩვენ ყველანი უნდა ვცდილობდეთ გავითვალისწინოთ ეს საზავო ხელშეკრულების პროექტშიც, რათა გავუადვილოთ რუმინეთს ის ღონისძიებანი, რომლებსაც იგი ეწევა თავის ახალ გზაზე, რათა განვამტკიცოთ კეთილმეზობლური ურთიერთობა რუმინეთთან, რომელიც ცდილობს თანამშრომლობა და მეგობრობა დაამყაროს ყველა დემოკრატიულ ქვეყანასთან (ტაში).

ვიშინსკის სიტყვის დამთავრების შემდეგ მოკლე განცხადებით გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაური მასარიკი.

ჩეხოსლოვაკიის სახელით მან განაცხადა, რომ რუმინეთმა ჩეხოსლოვაკიის ხალხს დახმარება აღმოუჩინა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ძნელ მომენტში.

მასარიკმა აღნიშნა, რომ რუმინელები დაეხმარნენ სსრ კავშირში გადასასვლელად ბევრ ჩეხ ჯარისკაცს, რომლებსაც სურდათ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ებრძოლნათ ფაშისტების წინააღმდეგ. რუმინელ ხალხს არ სურდა ღერძის სახელმწიფოთა მხარეზე ბრძოლა.

ომის ბოლოს რუმინელმა ხალხმა თავისი იარაღი შეაბრუნა გერმანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ჩეხოსლოვაკ ხალხს ახსოვს, რომ რუმინეთის ჯარები ნებაყოფლობით იბრძოდნენ გერმანელების წინააღმდეგ ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე და ხელს უწყობდნენ მის განთავისუფლებას.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა აღნიშნა იმ პრეტენზიების ზომიერი ხასიათი, რომლებიც რუმინეთის მთავრობამ საზავო ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით წარმოადგინა. მე მივესალმები აქ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის კეთილშობილურ სიტყვას და ვუერთდები მას, — დაამთავრა თავისი გამოსვლა მასარიკმა.

ვინაიდან ორატორების სია ამოწურული იყო, სხდომის თავმჯდომარემ კამათი დამთავრებულად გამოაცხადა.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-4 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების გამო

დეპუტატ დ. ა. დავითაძის სიტყვა

(ხულოს ოლქი, აჭარის ასსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! გმირმა საბჭოთა ხალხმა და მისმა სახელოვანმა წითელმა არმიამ, დიდი სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით გაანადგურეს ფაშისტური გერმანია და იმპერიალისტური იაპონია. ჩვენი დიადი სოციალისტური ქვეყანა შეუდგა მშვიდობიან მშენებლობას.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმით აღფრთოვანებულმა საბჭოთა ხალხმა გააჩაღა ბრძოლა ყველა დარგში ამ დიადი პროგრამის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის.

პარტია და მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ ციტრუსების, ჩაის, ტუნგოს, თამბაქოს და სხვა კულტურების განვითარების საქმეს.

ამხანაგო დეპუტატებო! სტალინურ ხუთწლედში სუბტროპიკული კულტურების განვითარების წარმატებით შესრულებისა და მოსავლიანობის გადიდების უზრუნველსაყოფად აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომლებმა ვალდებულება იკისრეს, რომ თუ 1945 წელს სახელმწიფოს ჩააბარეს 211 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი, მიმდინარე წელს ჩააბარებენ 400 მილიონს.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის დამლევს—1950 წელს აჭარა ჩვენს ქვეყანას მისცემს ერთ მილიარდ 200 მილიონ ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს. მათ შორის:

260 მილიონ ლიმონს,
55 მილიონ ფორთოხალს,
885 მილიონ მანდარინს.

ტუნგო, როგორც ვიცით, დიდმნიშვნელოვანი კულტურაა. ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია სახელმწიფოს ჩაბარდეს 10.000 ტონა ტუნგოს ნაყოფი, სამჯერ მეტი, ვიდრე 1945 წელს.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში წამყვანი ადგილი სპეციალურმა ტექნიკურმა კულტურებმა დაიკავეს და ეს შეძლებული ცხოვრების ძირითად წყაროს წარმოადგენს აჭარის მშრომელებისათვის.

დღეს აჭარაში 5 მილიონზე მეტი ძირი ციტრუსოვანი კულტურაა გაშენებული. მეოთხე სტალინურ ხუთწლედში გათვალისწინებულია გავაშენოთ ციტრუსოვანთა კულტურების 1670 ჰექტარი ახალი პლანტაციები.

ამხანაგო დეპუტატებო! სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ალავიძემ თავის მოხსენებაში აღნიშნა, რომ მეოთხე სტალინურ ხუთწლედში აჭარაში სხვადასხვა ობიექტებზე დაიხარჯება 29 მილიონი მანეთი. ეს თანხა საკმარისი არ არის. ვთხოვ სესიას დამატებით გაითვალისწინოს შემდეგი:

ყველაზე მძიმე საკითხი ქ. ბათუმში საბინაო საკითხია. მიუხედავად ყოველწლიურად მნიშვნელოვანი შეკეთებისა, საცხოვრებელი ფონდი მაინც ვერ აკმაყოფილებს ქალაქის მინიმალურ მოთხოვნილებას. 50 სახლი ავარიულ მდგომარეობაშია. ვთხოვ სესიას მეოთხე სტალინურ ხუთწლედში გაითვალისწინოს ქ. ბათუმის კომუნალურ მშენებლობაზე 4 მილიონი მანეთი.

მიუხედავად აჭარაში სამკურნალო-პროფილაქტიურ დაწესებულებათა სიმრავლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ხულოს რაიონში დღემდე საავადმყოფო მოთავსებულია არასპეციალურ შენობაში. საჭიროა მეოთხე სტალინურ ხუთწლედში შეტანილ იქნას შენობის აგება, რაც ორი მილიონი მანეთი დაჯდება.

ეჭვი არ არის, ქართველი ხალხი, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, მეოთხე სტალინურ ხუთწლედს წარმატებით შეასრულებს.

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის დიად, უძლეველ პარტიას!

გაუმარჯოს ჩვენს სამშობლოს!

გაუმარჯოს ხალხთა საყვარელ ბელადს ჩვენს მშობლიურ დიდ **სტალინს! (ტაში).**

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ამხ. ა. თ. ხელიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! მეოთხე სტალინური ხუთწლედი სოციალისტური საზოგადოების განვითარების ისტორიაში შევა როგორც მისი ერთ-ერთი უბრწყინვალესი ფურცელი.

ამ ხუთწლედში საქართველოს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე დიდად წაიწევს წინ. ჩვენს წინაშე დგას ტუბერკულოზთან, კიბოსთან, ინფექციებთან და სისხლის მიმოქცევის ორგანოების დაავადებებთან გადამწყვეტი ბრძოლის ამოცანა. საუკეთესოდ უნდა მოვაწყოთ სამამულო ომის ინვალიდების მკურნალობა და მივუახლოოთ სპეციალიზებული, კვალიფიციური სამკურნალო დახმარება სოფლის მოსახლეობას. საჭიროა მივაღწიოთ დაავადებათა შემცირებას, საერთო და ბავშვთა სიკვდილიანობის მაქსიმალურად შემცირებას, შობადობის პროგრესიულ ზრდას, რაც მოსახლეობის ბუნებრივი მატების საწინდარია.

ხუთწლიანი გეგმით უზრუნველყოფილია ახალი სამშობიარო სახლების მშენებლობა, ქალაქისა და სოფლის საავადმყოფოებში სამშობიარო განყოფილებების გახსნა, სოფლის საექიმო უბნების სტაციონარებში სამშობიარო საწოლების მოწყობა, ამასთან ყოველმხრივ შეეწყობა ხელი საკოლმეურნეო სამშობიარო სახლების ფართო მშენებლობას.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ ბავშვებს, მაქსიმალური მზრუნველობა გამოიჩინონ ჩვილ ბავშვთა მიმართ, განსაკუთრებით ერთი წლის ასაკამდე, როდესაც გულმოდგინე მოვლა, დედის რძით წესიერი კვება და დამატებითი კვება არსებითად სწყვეტს საკითხს. ხუთწლედის დამლევისათვის ბავშვთა ბაგების ქსელის 18.800 ადგილამდე გაფართოება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას ამ დარგში.

სამამულო ომის ინვალიდთა მკურნალობის გაუმჯობესების მიზნით რესპუბლიკაში შექმნილია ჰოსპიტლების, პოლიკლინიკების, სანატორიუმების სპეციალური ქსელი.

ჩვენ მოვალე ვართ გავაუმჯობესოთ და საუკეთესოდ წარვმართოთ ამ დაწესებულებების მუშაობა, რათა სამამულო ომის ყველა ინვალიდი, რომელსაც ესაჭიროება მკურნალობა, უზრუნველყოფილ იქნას კვალიფიციური სამკურნალო დახმარებით.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საწოლთა რიცხვის ზრდას რესპუბლიკაში 17.900 საწოლამდე. შენდება ახალი საავადმყოფოები თბილისში, ქუთაისში, ზესტაფონში, გორში, ყვარელში, ვანში და სხვა რაიონებში.

საქართველოს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს სოფლის საექიმო უბანთა ქსელის სიხშირით, მაგრამ მათ შორის სტაციონარები მხოლოდ 12 პროცენტია.

საჭიროა მეოთხე ხუთწლედის განმავლობაში ყოველი მეორე სოფლის საექიმო უბანი გადაკეთდეს საავადმყოფო-ამბულატორიული ტიპის დაწესებულებად 10-საწოლიანი სტაციონარით.

ყველა რაიონის ცენტრში უნდა მოეწყოს კარგი კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორია, ფიზიო-თერაპევტიული კაბინეტი და მსხვილ რაიონულ ცენტრებში რენტგენის დანადგარები, აგრეთვე სარაიონთაშორისო ეპიდემიოლოგიური სადგური. თვითეულ რაიონს ექნება საკუთარი სანიტარულ-ტუბერკულოზური დისპანსერი.

ახალი ხუთწლედი ითვალისწინებს საქართველოს კურორტების სრულ აღდგენას.

აღდგენილია კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა მეოთხე ხუთწლედში განისაზღვრება 33 მილიონი მანეთით. სახსრების უდიდესი ნაწილი ხმარდება საავადმყოფოების, სამშობიარო სახლების და ბაგების მშენებლობას. სამი მილიონი მანეთი გათვალისწინებულია სამედიცინო ინსტიტუტის სასწავლო შენობების და ექვსი მილიონი მანეთი საკურორტო კაპიტალური მშენებლობისათვის.

მეოთხე ხუთწლედში თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი გამოუშვებს 3.137 ექიმს, სტომატოლოგიური—883 და ფარმაცევტული—611 ფარმაცევტს.

საშუალო სამედიცინო სკოლების გამოშვება საშუალებას მოგვცემს 1950 წელს ერთიორად გავზარდოთ რესპუბლიკის საშუალო სამედიცინო კადრი.

ამხანაგო დეპუტატებო!

გთხოვთ დაამტკიცოთ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმა, რომელიც სავსებით შეესაბამება ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს და მთლიანად გამსჭვალულია ადამიანზე სტალინური ზრუნვით.

გაუმარჯოს მეოთხე სტალინურ ხუთწლედს!

გაუმარჯოს საქართველოს საყვარელ და სამაყო შვილს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას! (ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენი გამარჯვებების ბრძენ ორგანიზატორსა და შემოქმედს, კაცობრიობის გენიას, ჩვენს მამასა და მასწავლებელს მშობლიურ **სტალინს! (ტაში).**

დეპუტატ ვ. ბ. გოგუას სიტყვა

(კასპის საარჩევნო ოლქი, კასპის რაიონი)

ამხანაგო დეპუტატებო! მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა, როგორც მოგეხსენებათ, ითვალისწინებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში კაპიტალური მშენებლობის ხაზით ოთხი მილიარდ ასოცი მილიონი მანეთის დაბანდებას.

ამის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა მნიშვნელოვნად გაიზრდება ომამდელთან შედარებით.

გეგმით გათვალისწინებულია ენერგეტიკული მეურნეობის ისეთი ზრდა, რაც უზრუნველჰყოფს 1950 წლისათვის ელექტროენერგიის წარმოების გადიდებას ერთ მილიარდ სამას მილიონ კილოვატსაათამდე, ნაცვლად 740,5 მილიონი კილოვატსაათისა 1946 წელს.

ხუთწლედში დამთავრდება მშენებლობა და მწყობრში ჩადგება ხრამის, სოხუმის, ჩითახევის და ტყიბულის (პირველი რიგი) ჰიდროელსადგურები, რომლებიც წელიწადში გამოიმუშავებენ 550 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას.

გარდა ზემოაღნიშნული ჰიდროელექტროსადგურებისა, აშენდება რამდენიმე თბოელექტროსადგური. მათ შორის უნდა აღინიშნოს მეტალურგიულ და საავტომობილო ქარხნებთან გათვალისწინებული მძლავრი თბოელექტროსადგურები, რომლებიც ჩართული იქნებიან საქართველოს ენერგეტიკულ სისტემაში.

ახალი ხუთწლედი ითვალისწინებს სოფლის ელექტროფიკაციის შემდგომ განვითარებას.

პირველი სამი სტალინური ხუთწლედის მანძილზე ჩვენს რესპუბლიკაში მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა მცირემძლავრიანი სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ხაზით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არცერთი სასოფლო მნიშვნელობის ელექტროსადგური არ ყოფილა, 1945 წლის დამლევს კი ექსპლოატაციაში უკვე გვქონდა 36 ჰიდროელექტროსადგური 9.635 კილოვატის საერთო სიმძლავრით. ამ სადგურების ბაზაზე ელექტროფიცირებული იყო 190 კოლმეურნეობა. ახალი ხუთწლედის ბოლოს სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის სადგურთა საერთო სიმძლავრე უნდა გადიდდეს 21,5 ათასი კილოვატით, ე. ი. თითქმის ორნახევარჯერ 1945 წელთან შედარებით.

სასოფლო ელექტროსადგურის მშენებლობაში და სხვა ბევრ მშენებლობებზეც ფართოდ შეიძლება გამოვიყენოთ ეგრეთწოდებული ჰიდრავლური კირი და ამით უმნიშვნელო რაოდენობამდე დავიყვანოთ ცემენტის—ამ დეფიციტური საშენი მასალის ხარჯვა.

მიუხედავად ამისა, ჰიდრავლური კირი სრულიად არადამაკმაყოფილებელი რაოდენობით მზადდება. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ ჰიდრავლური კირის წარმოების საქმეს სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს.

სოფლის ელექტროფიკაციის განვითარებას მეტი დახმარება უნდა გაუწიონ მიწათმოქმედების, ტექნიკური კულტურებისა და კვების მრეწველობის სამინისტროებმა.

მეათე სესიას ესწრებიან ჩვენი დიდი მშენებლობებისა და საწარმოების ხელმძღვანელები. ზოგი მათგანი დეპუტატია, ზოგი სტუმარი. აი, ამ ამხანაგებს, უფრო სწორად მშენებლობებსა და საწარმოებს, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ, მათი უშუალო საქმის ზიანის მიუყენებლად შეუძლიათ შეფობის სახით დიდი დახმარება გაუწიონ სოფლად ელსადგურებია მოწყობას.

ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ქვანახშირისა და ნავთის მოპოვების მკვეთრ ზრდას, განსაკუთრებით ქვანახშირის მოპოვების გადიდებას.

ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის განვითარებას საქართველოში უდიდეს დახმარებას უწევს ამხანაგი ლავრენტი ბერია. ეს გვავალებს ჩვენ, ქვანახშირისა და ნავთის მრეწველობის მუშაკებს, პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რათა გადაჭარბებით შესრულდეს დასახული ამოცანები.

ამხანაგო დეპუტატებო! მე სავსებით ვეთანხმები ჩემზე წინ გამოსული დეპუტატების წინადადებას, რომ წარმოდგენილი პროექტი კანონისა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმის შესახებ დამტკიცდეს.

ეჭვი არ არის, რომ ქართველი ხალხი, აღზრდილი ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის—ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას მიერ, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმა წარმატებით და ვადაზე ადრე შესრულდეს.

გაუმარჯოს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას! (ტაში).**

გაუმარჯოს დიდ **სტალინს! (ტაში).**

მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ბ. ე. ლომიძის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა ქვეყანა თავისი განვითარების ახალ ისტორიულ ხანაში შევიდა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ახალი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განსახილველად წარმოუდგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესიას, რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული ცხოვრების შემდგომი აღმავლობის დიადი პროგრამაა.

1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმით მწყობრში შევა ისეთი სამრეწველო ობიექტები, როგორიცაა ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, მანქანათმშენებელი, შუშის ტარისა და სხვა ქარხნები, რის შედეგადაც კიდევ უფრო მკვეთრად შეიცვლება ქუთაისის მრეწველობის სახე.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმით ქალაქ ქუთაისში გათვალისწინებულია 35.416 ათასი მანეთის კაპიტალური დაბანდებანი, რაც მნიშვნელოვნად განავითარებს ქალაქის სახალხო მეურნეობას.

ამხანაგო დეპუტატებო! ის დაბანდებანი, რომლებიც ხუთწლიანი გეგმით არის გათვალისწინებული ქუთაისის საქალაქო მეურნეობისათვის, შეესაბამება მისი სამრეწველო განვითარების ამოცანებს. მაგრამ ამავე დროს მინდა აღვნიშნო, რომ დარჩა საქალაქო მეურნეობის ზოგიერთი საკითხი, რაც რესპუბლიკის ხუთწლიან გეგმაში ასახული არ არის. ამიტომ ვთხოვ სესიას გაითვალისწინოს დამატებითი კაპიტალური დაბანდებანი ზოგიერთ აუცილებელ სამუშაოთა შესასრულებლად.

აუცილებელია ჩატარდეს პარიზის კომუნის მოედნის რეკონსტრუქცია, რისთვისაც საჭიროა 300 ათასი მანეთი.

თეთრი ხიდის ახლანდელი გამტარუნარიანობა საკმაო არაა. საჭიროა ხიდის გაგანიერება, ამ სამუშაოს დაახლოებითი ღირებულება გამოიხატება 1 მილიონ 200 ათასი მანეთით.

ქუთაისის ტერიტორიის რელიეფი მოითხოვს ზედაპირული წყლების გასაყვან გაძლიერებულ სისტემას. აუცილებელია არსებული ღვარსადენი არხების აღდგენა და მოწესრიგება 5 კილომეტრ სიგრძეზე, ახალი არხების აგება სულ ცოტა 5-6 კილომეტრზე. ამ სამუშაოთა ღირებულება გამოიხატება 200 ათასამდე მანეთით.

მიმდინარე ხუთწლედით დასახული ქალაქის სამრეწველო და კომუნალური მშენებლობა დიდ მოთხოვნებს აყენებს კანალიზაციის გაფართოებისათვის. ვთხოვ სესიას საკანალიზაციო ქსელის გაფართოებისათვის დამატებით გაითვალისწინოს 500 ათასი მანეთი.

ქუთაისისათვის მასობრივი ტრანსპორტის საკითხი დიდი ხანია აქტუალურია. მისი განხორციელება მით უმეტეს აუცილებელი ხდება დღეს, როდესაც ქალაქი მნიშვნელოვნად იზრდება.

ვთხოვ სესიას გაითვალისწინოს ქუთაისში ტროლეიბუსების ამუშავება ქალაქში ამჟამად მოქმედი საავტობუსო მოძრაობის, როგორც დამხმარე სატრანსპორტო ღონისძიების, გადიდებასთან ერთად.

ამ ღონისძიების გარდა, ვთხოვ სესიას ქალაქის კეთილმოწყობის საჭიროებისათვის გაითვალისწინოს ასფალტის ქარხნის აგება დღეღამეში 1.000 კვადრატული მეტრის სიმძლავრით. მისი ღირებულება დაახლოებით 300 ათასი მანეთი იქნება.

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენს მიერ ქალაქ ქუთაისისათვის მოთხოვნილი დამატებითი კაპიტალური დაბანდების რაოდენობა განისაზღვრება 4 მილიონ 300 ათასი მანეთით.

ქალაქ ქუთაისის მშრომელები გრძნობენ იმ მზრუნველობასა და დახმარებას, რომელსაც მათ უწევენ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა. ჩვენი ვალია კიდევ მეტად დავირაზმოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით მეოთხე ხუთწლედის დიადი ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად.

გაუმარჯოს ქართველი ხალხის სამაყო შვილს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას! (ხანგრძლივი ტაში).**

დღეგრძელობა და სიცოცხლე ჩვენს მშობლიურ ბრძენ **სტალინს! (ხანგრძლივი ტაში).**

დეპუტატ ლ. ა. რუხაძის სიტყვა

(წულუკიძის პირველი საარჩევნო ოლქი, წულუკიძის რაიონი)

ამხანაგო დეპუტატებო! მეათე სესია იხილავს საქართველოს ყველა მშრომელისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე საკითხს — საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიან გეგმას.

ახალ ხუთწლედში საქართველოს საფეიქრო მრეწველობას საპატიო ადგილი უჭირავს. მისი საერთო პროდუქცია 1950 წელს 97 მილიონ მანეთს მიაღწევს, რაც 80 პროცენტით აღემატება 1945 წელს ფაქტიურად გამოშვებულ საერთო პროდუქციას და ომამდელ დონეს აჭარბებს 29 პროცენტით. ახალ ხუთწლედში საქართველოს საფეიქრო მრეწველობის შემადგენლობაში პირველად გამოჩნდება აბრეშუმის ნართი ბურ-დე-სოა, ახლად აგებული პენიეს სართავი წარმოების ბაზაზე; ბამბის ქსოვილები — ახლად შექმნილი ბამბის საქსოვი წარმოების საფუძველზე.

ახალ სტალინურ ხუთწლედში საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს ხაზით გათვალისწინებულია კაპიტალური დაბანდებანი 43 მილიონი მანეთის რაოდენობით. ამაში არ შედის გორის ბამბის სართავ-საქსოვი კომბინატი, რომლის მშენებლობა იწარმოებს საკავშირო საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს ხაზით.

ახალ ხუთწლედში, გარდა სამრეწველო მშენებლობისა, რომლებზეც 32,6 მილიონი მანეთი დაიხარჯება, 8 მილიონი მანეთი მოხმარდება მუშათა ბინებისა და საყოფაცხოვრებო მშენებლობას. წელს ამუშავდება, გაფართოვდება და რეკონსტრუირებულ იქნება შემდეგი ობიექტები:

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, რომლის სიმძლავრე გაიზრდება 2.200 ათას მეტრამდე 1950 წელს, ნაცვლად 1.100 ათასი მეტრისა, რაც ფაბრიკამ ფაქტიურად გამოუშვა 1945 წელს. ამ საქმეზე დაიხარჯება 23 მილიონი მანეთი. ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, რომლის სიმძლავრე გადიდდება 7 საჩეჩ აპარატამდე, სართავი და საქსოვი წარმოების შესაბამისი გადიდებით, ნაცვლად არსებული 5 აპარატისა. ამავე დროს შეიცვლება ყველა ძველი დანადგარი. ფაბრიკის სიმძლავრე პროდუქციის გამოშვების მხრივ გადიდდება 600-1.000 ათას მეტრამდე, ნაცვლად 1945 წლის 330 ათასი მეტრისა. ფაბრიკის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის ღირებულება 6 მილიონ მანეთს შეადგენს.

აბრეშუმის მრეწველობის დარგში გაფართოებულ და რეკონსტრუირებულ იქნება თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა და ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი.

ახალ ხუთწლედში საქართველოს საფეიქრო მრეწველობას შეემატება დიდი მნიშვნელობის მქონე ობიექტი—გორის ბამბის სართავი და საქსოვი კომბინატი.

გორის კომბინატის ქსოვილების ასორტიმენტი მაღალხარისხოვანი და ნაირსახიანი იქნება. დამზადდება საცვლებისა და საკაბე ქსოვილები, სხვადასხვა ჩითი, ზეფირი, მარკიზეტი, ფლანელი და სხვა.

როგორ ასრულებს საქართველოს საფეიქრო მრეწველობა ახალი ხუთწლედის პირველი წლის საგეგმო დავალებებს?

სამინისტროს საწარმოებმა წლის პირველი ნახევრის გეგმა საერთო პროდუქციის მიხედვით შეასრულეს 105,4 პროცენტით. მიუხედავად ამისა, პირველი ნახევარი წლის მანძილზე ზოგიერთმა ქარხანამ ვერ შესძლო საწარმოო დავალებათა მთლიანად შესრულება, კერძოდ, შალის, ბამბეულის ქსოვილებისა და ბამბის ძაფსართავი წარმოების დარგში. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ბაქრაძემ სამართლიანად გააკრიტიკა და მიგვითითა ბევრ ნაკლზე. მიუხედავად იმისა, რომ მეორე კვარტალის გეგმა წარმატებით შესრულდა, ჩვენს ქარხნებში კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვებია, მთელი რიგი მუშები ვერ ასრულებენ ნორმებს. ამჟამად ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გავაუმჯობესოთ მუშაობა მეორე კვარტალთან შედარებით, მესამე კვარტალის საწარმოო დავალებები ყოველთვიურად შევასრულოთ იმ ანგარიშით, რომ პირველი კვარტალის დანაკლისი შევავსოთ ნატურალური პროდუქციით.

ამხანაგო დეპუტატებო! გასულ წლებში საქართველოს საფეიქრო მრეწველობას საგრძნობი ჩამორჩენა ჰქონდა პროდუქციის თვითღირებულებაში, აგრეთვე დიდი ზარალი — ცალკეულ ქარხნებში. პარტიისა და მთავრობის დახმარებით, 1946 წელს საგრძნობლად შევამცირეთ ეს ზარალი, გაუმჯობესდა საწარმოთა ფინანსური მდგომარეობაც. გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მივიღეთ 1.630.000 მანეთი ეკონომია, ხოლო მთავრობის დოტაცია ზარალიანი პროდუქციისათვის შემცირებულ იქნა ნახევარი მილიონი მანეთით.

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ახალი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც შემოტანილია მეათე სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად, მთლიანად გამოხატავს ჩვენი ხალხის ინტერესებს.

ეჭვი არ არის, ქართველი ხალხი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულებს ახალ ხუთწლიან გეგმას და მოიპოვებს სახელოვან გამარჯვებებს.

გაუმარჯოს ხალხთა ბრძენ ბელადს, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ **სტალინს! (ტაში).**

დეპუტატ შ. ქ. ლამბაშიძის სიტყვა

(ქუთაისის წულუკიძის საარჩევნო ოლქი, ქუთაისის რაიონი)

ამხანაგო დეპუტატებო! სხვა კარგ თვისებათა შორის, ერთი შესანიშნავი მხარე ამკობს ყოველ ჭეშმარიტ საბჭოთა მოქალაქეს; იგი ბიძგს გვაძლევს ფხიზელი კონტროლის ქვეშ დავაყენოთ ჩვენი საქმიანობა, ხშირად შევეკითხოთ ჩვენს თავს, თუ რა წვლილი შეგვიტანია საერთო საქმიანობაში, როგორ შეგვისრულებია საპატიო მოვალეობა სამშობლოს წინაშე. როდესაც ამ თვალსაზრისით ვამოწმებთ ხელოვნების მუშაკთა მოღვაწეობას სამამულო ომის მანძილზე, უნდა ვაღიაროთ, რომ თეატრისა და საერთოდ ხელოვნების მუშაკთა საქმიანობას გარკვეული ადგილი უკავია ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე გამარჯვებაში.

ცხადია, ომის პირობებით გარემოცული ხელოვნება ვერ შეასრულებდა ქვეყნის წინაშე თავის საპატიო როლს, რომ არ ყოფილიყო შეუნელებელი ზრუნვა, მფარველობა, დახმარება პარტიისა და ხელისუფლების მხრივ.

რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის, აგრეთვე რაიონების თეატრებმა განახორციელეს მთელი რიგი ღირსშესანიშნავი ისტორიულ-პატრიოტული და თანამედროვე ომის თემაზე დაწერილი მაღალხარისხოვანი დადგმები. მარტო ამით არ ამოიწურებოდა თეატრების მუშაობა ომის პერიოდში. თეატრებმა უზრუნველჰყვეს ფრონტისათვის კულტურული მომსახურების გასაწევად მთელი რიგი სამხატვრო ბრიგადების შექმნა სპეციალური პროგრამით.

ომის დასრულების პერიოდს ახასიათებს ქართული სასცენო ხელოვნების აღმავლობა.

პატრიოტული თემა მტკიცე ნიადაგს ჰპოულობს ჩვენს თეატრში. იდგმება ისტორიული პიესები, რომლებიც თავისი სულისკვეთებით ეხმაურებიან საბჭოთა ადამიანის განცდებს.

სათეატრო ხელოვნებასთან ერთად ვითარდებოდა საბჭოთა სახვითი ხელოვნება. ორასამდე მხატვარი და მოქანდაკე დაძაბული შემოქმედებითი მუშაობით ქმნიდა სამამულო ომის დიადი ეპოპეის ამსახველ სურათებს. საბჭოთა გმირი ადამიანის სახე, მისი ბუნება, თავდადება და ვაჟკაცობა — აი საყვარელი თემა, რითაც ხასიათდება მხატვრის ფუნჯი და ყალამი.

საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავზე ჩვენი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა იყო პატრიოტიზმის ნათელი დემონსტრაცია.

ახალი ხუთწლედით საქართველოში სათეატრო მშენებლობისათვის გათვალისწინებულია ათი მილიონი მანეთი. შენდება ქუთაისის თეატრი ცხრაასი კაცის ტევადობით, სოხუმისა — 750, ბათუმისა—800, ზესტაფონის — 500 კაცის ტევადობით. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სასწავლებლების სტუდენტებისათვის თბილისში აიგება საერთო საცხოვრებელი. მნიშვნელოვნად გაიზრდება რაიონული თეატრების ქსელი. ხუთწლედის ბოლოს საქართველოში გვექნება 49 თეატრი.

ჩვენ, ხელოვნების მუშაკებს, გვმართებს არ ჩამოვრჩეთ სხვა დარგებს. ჩვენი გეგმის გადაჭარბება ნიშნავს ახალ მიღწევებს, დიდი ტილოების შექმნას, რისთვისაც მოგვიწოდა საქართველოს სახელოვანმა შვილმა ამხანაგმა ლავრენტი ბერიამ თავის წინასაარჩევნო სიტყვაში 1946 წლის 5 თებერვალს.

დიდი სტალინის გენიით შთაგონებული, ამხანაგ ლავრენტი ბერიას მითითებებით აღფრთოვანებული ქართველი ხალხი წარმატებით შეასრულებს მეოთხე სტალინური ხუთწლედით დასახულ გრანდიოზულ ამოცანებს. (ტაში).

პარიზის საზავო კონფერენციაზე

საზავო ხელშეკრულებათა პროექტების შემსწავლელ კომისიებში

პარიზი, 13 აგვისტო. (საჯდესის სპეც. კორ.). დღეს საღამოს შესდგა იტალიის საკითხების შემსწავლელი კომისიების პირველი სხდომები. ეს სხდომები მიეძღვნა საორგანიზაციო საკითხების გადაჭრას.

მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პოზიციამ მხარდაჭერა ვერ ჰპოვა კომისიის წევრთა შორის.

„სერიოზულად", და კომისიის სხვა წევრებთან ერთად ხმა მისცა საბჭოთა დელეგაციის მიერ წამოყენებულ კანდიდატურას. იტალიასთან საზავო ხელშეკრულების ეკონომიური და ფინანსიური მუხლების განმხილველი კომისიის მომხსენებლად ერთხმად აირჩიეს საფრანგეთის წარმომადგენელი ალფანი.

14 აგვისტოს დილის პლენარული სხდომა

პარიზი, 14 აგვისტო. (საჯდესის სპეც. კორ.). პარიზის საზავო კონფერენციის დღევანდელი დილის პლენარულ სხდომაზე მოისმინეს დღეს ბულგარეთის დელეგაციის განცხადება ბულგარეთთან საზავო ხელშეკრულების პროექტზე.

სიტყვა მიეცა ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კულიშევს.

კულიშევის სიტყვა

თავისი სიტყვის დასაწყისში ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მადლობას უცხადებს კონფერენციას იმისათვის, რომ ბულგარეთის დელეგაციას შესაძლებლობა მისცა თავისი თვალსაზრისი გამოეთქვა მომავალი საზავო ხელშეკრულების პირობების საკითხზე. ამავე დროს იგი ბულგარეთის მადლობის გრძნობას გამოხატავს სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის ...

ბულგარეთი ითხოვს უზრუნველყონ მისი გასასვლელი ეგეოსის ზღვაზე დასავლეთ თრაკიის დაბრუნებით, ვინაიდან ეს რაიონი შეადგენს ბულგარეთის ეკონომიურად და გეოგრაფიულად ამ მნიშვნელოვანი ოლქის განუყოფელ ნაწილს, რომელიც უფრო ჩრდილოეთით ვრცელდება. დასავლეთ თრაკიას არ შეუძლია იარსებოს და განვითარდეს ბულგარეთის ...

... ხალხი და მისი ახლანდელი მთავრობა ქმედითად იბრძვიან თავიანთ ქვეყანაში ფაშიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად, წარმატებით ახორციელებენ დემოკრატიულ გარდაქმნებს და მტკიცედ ადგეს როგორც მეზობელ ქვეყნებთან, ისე ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან თანამშრომლობის კურსს.

ბულგარეთი იმ ძალების შემადგენელი ნაწილია, რომლებიც მშვიდობის განმტკიცებისა და ბალკანეთის ხალხთა თანამეგობრობის დამყარებისათვის იბრძვიან. წარსულში ამ ხალხებს ეროვნული შუღლი და ძმათამკვლელი ომები სჯიდნიდა. ახლა, ისტორიაში პირველად, მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ბალკანეთის მეტი წილი ხალხების ახალ ურთიერთობას, რაც გამორიცხავს ეროვნულ შუღლს, ურთიერთ ინტრიგებს, კონფლიქტებს, რომლებიც ბალკანეთს თავისებურ თოფისწამლის სარდაფად აქცევდნენ.

ბალკანეთის დამშვიდება ჩვენი გამარჯვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა,—ამბობს შემდეგ მანუილსკი —მაგრამ, სამწუხაროდ, მას ჩრდილს აყენებს ის, რომ ბალკანეთის ერთ-ერთი სახელმწიფო, რომლისაც გარეშე ძალები აქეზებენ, თავისი სრულიად დაუსაბუთებელი პრეტენზიებით ბალკანეთის ხალხთა თანა...

[illegible]

მანუილსკის სიტყვა

[illegible]

საბერძნეთის დელეგაციის პრეტენზიები

[illegible]

14 აგვისტოს საღამოს პლენარული სხდომა

[illegible]

დიენდიეშის სიტყვა

[illegible]

დიენდიეშის გამოსვლის შემდეგ სიტყვა ითხოვა ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა მასარიკმა. უნგრეთის დელეგაციის ზოგიერთი მტკიცება მასარიკის შეფასებით მიზნად ისახავს ...

ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის განცხადება

[illegible]

უშიშროების საბჭოს კომისიის სხდომა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხზე

ნიუ-იორკი, 14 აგვისტო. (საჯდესი). 12 აგვისტოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ განაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს კომისიის დახურულ სხდომაზე ახალ წევრთა მიღების საკითხის გამო ...

... განხილვა მიეცემულ კითხვებზე პასუხის მიღებამდე. კომისიამ აგრეთვე მოიწონა მთელი რიგი კითხვები მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისათვის გასაგზავნად.

ტრიესტის გემთმშენებელი მუშების გაფიცვა

ბელგრადი, 13 აგვისტო. (საჯდესი). როგორც ტანიუგის კორესპონდენტი იუწყება, 10 აგვისტოს გაიფიცა დაიწყეს ტრიესტის ვერფებზე „ნაველე ჯულიანის" მუშებმა. გაფიცვა გამოცხადებულია იმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომ დირექციას არა სურს მიიღოს პროფკავშირთა წინადადება იმ მუშების ქვების გასაუმჯობესებლად, რომლებიც დღე-ღამეში 11-15 საათს მუშაობენ.

გრონინგენში დაიწყო საჭადრაკო ტურნირი

ჰააგა, 13 აგვისტო. (საჯდესი). დღეს გრონინგენში გვიან საღამოს დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის პირველი ტური: სმისლოვმა მოუგო ვიდმარს (იუგოსლავია), ბოტვინიკმა—საბოს (უნგრეთი), ეიუემ—იანოვსკის (კანადა), ლუნდინმა (შვეცია) — სტეინერს (ამერიკა). ბოლესლავსკიმ თამაში ყაიმით დამთავრა გიმართან (არგენტინა). დანარჩენი ხუთი პარტია გადადებულია.

14 აგვისტოს ნაშუადღევს 2 საათზე დაიწყება მეორე ტური.

გარდაიცვალა ჰერბერტ უელსი

ლონდონი, 13 აგვისტო. (საჯდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 13 აგვისტოს ლონდონში 79 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ინგლისელი მწერალი ჰერბერტ უელსი.

ფეხბურთის საერთაშორისო მატჩი

ბულგარეთის „ლოკომოტივის" ფეხბურთელები 13 აგვისტოს მოსკოვში შეხვდნენ „დინამოს" გუნდს. თამაში დიდი ინტერესით სწარმოებდა. მას შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდა თვალს ათიათასობით მაყურებელი.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:3.

კესხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

16 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და რაიონული საბჭოების აღმასკომების მუშაკებისათვის შესდგება ამხ. **ეპიტაშვილის** ლექცია თემაზე: **„თბილისის კომუნალური მეურნეობა მეოთხე ხუთწლედში"**.

შესწორება

„კომუნისტის" 11 აგვისტოს ნომერში დაბეჭდილ კანონში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ — პირველ სვეტში, მეორე კარის მეორე პარაგრაფის 23-ე სტრიქონი ზემოდან უნდა იკითხებოდეს ასე: ჩაი პირველი დამუშავებისა (ათას ტონობით), ხოლო მეორე სვეტში, ამავე კარის მერვე პარაგრაფის მე-14 აბზაცი უნდა იკითხებოდეს: გადიდდეს ზეთის გამოშვება 1950 წელს 13 პროცენტით 1940 წელთან შედარებით... და შემდეგ, როგორც ტექსტშია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

მოქალაქე **ვენერა გიორგის-ასულმა გრიგოლაშვილი-ლეჟავამ**, მცხოვრებმა ნაწყარეულის ქ. № 8, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ალექსანდრე სამსონის-ძე ლეჟავასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ზაქარია ბესოს-ძე ბარათაშვილმა** ...

[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო სატრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ტირაჟი 110,000. უე 00190

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.